2009 წელი, 29 ოქტომბერი – 4 ნოემბერი

ფასი 90 თეთრი

ახალი განათლება

№32 (466) გამოდის 1998 წლიდან

გვერდი 5-7

„დიალოგის“ მკითხველთა საყურადღებოდ!

2009-2010 სასწავლო წელს გაზეთი **„დიალოგი“** კვლავაც თქვენი საჭიროებების გათვალისწინებით დაკომპლექტდება და სამ ენაზე (ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად)გამოვა გაზეთის ცხრა ნომერი (ოქტომბერ-ივნისი). მისი თითო ეგზემპლარი კვლავაც უსასყიდლოდ გავრცელდება საჯარო სკოლებსა და რესურსცენტრებში. რაც შეეხება კერძო სკოლებს, მათ „დიალოგის“ მხოლოდ პირველი ნომერი მიეწოდებათ.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, გაზეთ „დიალოგის“ გარდა მკითხველს, ასევე, სთავაზობს გაზეთს, სახელწოდებით – **„დიალოგი +“**.

სიახლე! გაზეთ „დიალოგის“ მკითხველთა საყურადღებოდ!
2009-2010 სასწავლო წელს
გაზეთ „დიალოგი+“-ის ხელმოწერეგს და
გავრცელეგას ახორციელეგს
გაზეთ „ახალი განათლეგის“ რედაქცია

2009-2010 სასწავლო წელს გამოვა „დიალოგი +“ -ის 8 ნომერი (ნოემბერ-ივნისი). გაზეთის გამოწერის მსურველმა უნდა მიმართოს სკოლას, რადგან სკოლებიდან მოხდება მისაღები კომპლექტების რაოდენობის შესაბამისად გამოწერის თანხის გადარიცხვა გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალურ ანგარიშზე:

მიმღები	**შპს „ახალი განათლება“**
მიმღები ბანკი	**სს „ბაზისბანკი“**
ბანკის კოდი	**220101956**
ანგარიშის ნომერი	**30236563**
საიდენტიფიკაციო კოდი	**202058735**

გადმორიცხვის დროს, აუცილებელია, გარკვევით მიეთითოს ქალაქის, დაბის ან სოფლის დასახელება.

სასურველია, ხელმოწერები განხორციელდეს 1 ნოემბრამდე, რათა ყველა ხელმომწერმა მიიღოს „დიალოგი+“-ის სრული კომპლექტი. „დიალოგი +“-ის საცალო ღირებულებაა ***1 ლარი,*** კომპლექტის ანუ გამოწერის წლიური თანხა შეადგენს ***8 ლარს.***

გაზეთის გამოწერა შეუძლიათ: **რესურსცენტრებს, სკოლებს, კერძო პირებს** და **ორგანიზაციებს**.

გაზეთის გამოწერის პროცედურები:

- სკოლის დირექციამ ორგანიზება უნდა გაუწიოს გაზეთის გამოწერისთვის განაცხადებისა და თანხების მოგროვებას;
- სკოლის დირექციამ შეგროვებული თანხა უნდა ჩარიცხოს გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალურ ანგარიშზე. გადახდის ქვითარი და მოთხოვნების დოკუმენტი უნდა გადასცეს რესურსცენტრს;
- საგანმანათლებლო რესურსცენტრმა სკოლების მიერ წარმოდგენილი გადახდის ქვითრები და მოთხოვნების დოკუმენტები უნდა მიაწოდოს გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციას;
- საგანმანათლებლო რესურსცენტრმა უნდა ჩაიბაროს გაზეთები გამავრცელებლისგან და გაფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციასთან (მიღება-ჩაბარების აქტები რესურსცენტრებს მიეწოდება გაზეთთან ერთად, 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი პირი, არა უგვიანეს 2 კვირისა, უნდა დაბრუნდეს „ახალი განათლების“ რედაქციაში);
- საგანმანათლებლო რესურსცენტრმა უნდა მიაწოდოს სკოლებს გაზეთები მოთხოვნის დოკუმენტში მითითებული რაოდენობით.

გაზეთ „ახალი განათლეგის“ რედაქციის მისამართია:
თგილისი, ტეტელაშვილის 3, ტელ: 95 80 23, 890 958023; 877 132283
ელფოსტა: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru

გაზეთის ხელმოწერის თანხა შეგიძლიათ გადარიცხოთ
შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

მიმღები	**შპს „ახალი განათლება“**
მიმღები ბანკი	**სს „ბაზისბანკი“**
ბანკის კოდი	**220101956**
ანგარიშის ნომერი	**30236563**
საიდენტიფიკაციო კოდი	**202058735**

ამ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია
საქართველოს ნებისმიერი ბანკიდან.

პატივისცემით, "დიალოგი + "- ის რედაქცია

C M Y K

ზოგადი კომენტარები სასკოლო ოლიპიადების შესახებ

ოლიმპიადის სტრუქტურა და ორგანიზება

აუცილებელია, შენარჩუნდეს ოლიმპიადის ორგანიზების ორსაფეხურიანი და მკაცრად ცენტრალიზებული სისიტემა, როცა სკოლის დონეზე არ ტარდება ოლიმპიადა, რამეთუ: 1) სკოლისათვის ეს დამატებითი ტვირთია და აგდებს საკუთარი რიტმიდან; 2) სკოლას არ გააჩნია არც კომპეტენცია და არც ნდობა; 3) აძვირებს ბიუჯეტს.

აუცილებელია, რომ მოსწავლეები არ იყვნენ შეზღუდული, ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საგნების მიხედვით.

ოლიმპიადის შინაარსი

თემატიკა არ უნდა გაცდეს სასკოლო პროგრამას;

I ეტაპის ამოცანები არ უნდა გაცდეს საკლასო ოთახის დონეზე სწავლების დონეს.

შეფასება

აუცილებელია, გამარჯვებული სკოლები შეფასდნენ საგნების მიხედვით;

დადებითია შეფასების 2009 წლის სისტემა: კომპონენტები (პირველიდან მეორე ეტაპზე გადასულები და საბოლოო გამარჯვებულების გამოვლენა) და სკალირების სისტემა;

აუცილებელია აპელაციის დახვეწილი მექანიზმების არსებობა.

წახალისება

ა) მოსწავლის:

კარგი იყო ბანაკის ორგანიზება, ასევე საზღვარგარეთ გაგზავნა.

ბ) პედაგოგის:

ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეების შესაბამისად პედაგოგის ხელფასში კომპონენტის დამატება;

ერთჯერადი მატერიალური წახალისება.

გ) სკოლის:

აკრედიტაციის დროს გამარჯვების გათვალისწინება;

სკოლისათვის/ადმინისტრაციისათვის ერთჯერადი მატერიალური წახალისება.

ზოგადი რეკომენდაცია

კარგია, თუ მოხდება კორელაციის დადგენა შემდეგ კომპონენტებს შორის: 1) ოლიმპიადის შედეგები; 2) მედლების სტატისტიკა; 3) ეროვნული გამოცდების შედეგები; 4) საგამოცდო საგნებში სკოლის საბოლოო შეფასება.

ოლიმპიადები გათვლილია მოსწავლეებზე მასობრივად, ამდენად სასურველია, თუ წამოიწევს სახელმწიფოს მხრიდან ტურნირების ორგანიზების საკითხი;

ეროვნული გამოცდები ემთხვევა საერთაშორისო შეჯიბრის ჩატარებას და ნაკრების წევრებს უხდებათ რთული არჩევანის გაკეთება. კარგი იქნება, თუ გამარჯვებული მოსწავლეებისათვის ეროვნული გამოცდები არ გახდება პრობლემა.

ქართველი მოსწავლეების წარმატება მოსწავლე ფიზიკოსთა 22-ე საერთაშორისო ტურნირზე ჩინეთში

2009 წლის 21-28 ივლისს ჩინეთის ქ. ტიანძინში გაიმართა მოსწავლე ფიზიკოსთა 22-ე საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 27 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

აღნიშნული ტურნირი 1988 წლიდან ტარდება და საქართველომ მასში მეთხუთმეტედ მიიღო მონაწილეობა. წელს საქართველოს ნაკრებმა ტურნირზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, დამსახურებულად მოიპოვა **III ადგილი** და **ბრინჯაოს მედალი**.

მნიშვნელოვანი გახლდათ ის, რომ საქართველოს ნაკრებმა ყოფილი საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს შორის (სლოვაკეთის გარდა), ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მსგავსი წარმატება ქვეყანას 2001 წლის შემდეგ არ ჰქონია (იხილეთ ცხრილი №1).

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ხუთი წევრიდან ოთხი ქ. თბილისის 42-ე საჯარო სკოლიდანაა (**მარი გაჩეჩილაძე, გუგა მიქაბერიძე, დავით გაჩეჩილაძე, მარიამ ნადარეიშვილი**), ხოლო ერთი – ქ. თბილისის 199-ე სკოლა-პანსიონი „კომაროვიდან“ (**ზურაბ ფირცხალაიშვილი**).

ნაკრების მწვრთნელი გახლდათ ქ. თბილისის 42-ე საჯარო სკოლის ფიზიკის პედაგოგი და სასწავლო ნაწილის გამგე **თემურ გაჩეჩილაძე**. ჩინეთში საქართველოს ნაკრებს ახლდა ახალგაზრდა ფიზიკოსთა ეროვნული ტურნირების საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელი **გიორგი ლასხიშვილი** და საერთაშორისო ჟიურის წევრი, პროფესორი **ირაკლი მაჩაბელი**. ნაკრების ჩინეთში გამგზავრება დააფინანსა ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველო“.

ცხრილი №1. საქართველოს გუნდის მონაწილეობა ახალგაზრდა ფიზიკოსთა საერთაშორისო ტურნირებზე

№	ჩატარების წელი	ქვეყანა	მასპინძელი ქალაქი	დაკავებული ადგილი
1	1988	სსრკ	მოსკოვი	არ მონაწილეობდა
2	1989	სსრკ	მოსკოვი	არ მონაწილეობდა
3	1990	სსრკ	მოსკოვი	არ მონაწილეობდა
4	1991	სსრკ	მოსკოვი	არ მონაწილეობდა
5	1992	რუსეთი	პროტვინო	III
6	1993	რუსეთი	პროტვინო	I
7	1994	ჰოლანდია	გრონინგენი	II
8	1995	პოლონეთი	სპალა	III
9	1996	საქართველო	ქუთაისი	II
10	1997	ჩეხეთი	ხები	III
11	1998	გერმანია	დონაუშინგენი	III
12	1999	ავსტრია	ვენა	II
13	2000	უნგრეთი	ბუდაპეშტი	III
14	2001	ფინეთი	ესპოო	III
15	2002	უკრაინა	ოდესა	XIII
16	2003	შვედეთი	უფსალა	XVII
17	2004	ავსტრალია	ბრისბენი	არ მონაწილეობდა
18	2005	შვეიცარია	ვინთერტური	XXV
19	2006	სლოვაკეთი	ბრატისლავა	არ მონაწილეობდა
20	2007	კორეა	სეული	არ მონაწილეობდა
21	2008	ხორვატია	ტროგირი	XVII
22	2009	ჩინეთი	ტიანძინი	III

ალუდა გოგლიჩიძე
თბილისის ილია ვეკუას სახელობის 42-ე საჯარო სკოლის დირექტორი

თვალსაზრისი

კონფლიქტური ვითარებისას, ნდობის აღდგენის პროცესში განათლებისა და ისტორიის სწავლების როლი

თანამედროვე მსოფლიოში აქტუალურად განიხილება არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების საკითხები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი კონფლიქტი სათავეს ისტორიულ წარსულში იღებს და იგი ადამიანური არსებობის თანმხლები მოვლენაა: ერთნაირად ახასიათებს უძველეს საზოგადოებებს და უახლეს ისტორიას. კონფლიქტის ცნების, მისი ტიპებისა და კლასიფიკაციის შესწავლა, ანალიზისა და განზოგადების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, კონფლიქტების მართვა სკოლის მერხიდანვე უნდა ხდებოდეს და ამ მიმართულებით, დღესდღეობით ვფიქრობ, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების ინტეგრირებული კურსის სწავლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სკოლაში ისტორიისა და სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე გვერდს ვერ ავუვლით როგორც ცივილიზაციათა/სახელმწიფოთა შორის კონფლიქტებს, ისე შიდაპიროვნულ კონფლიქტებს. საკითხის შესწავლისას, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მოსწავლეებს გავაცნოთ თავად კონფლიქტის ცნება, განვუმარტოთ, რომ კონფლიქტი – ეს არის მოპირდაპირე ინტერესების, მიზნების, შეხედულებების, ხალხთა, სოციალურ ჯგუფებს, კლასებს შორის იდეოლოგიის შეჯახება. კონფლიქტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება არის მასში მონაწილე მხარეების ხასიათი და განსაკუთრებულობა. ის, თუ ვინ წარმოადგენს კონფლიქტურ მხარეს, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია კონფლიქტის დახასიათებაზე. მოსწავლეებს უნდა მიეცეს განმარტება, რომ კონფლიქტი შეიძლება იყოს სოციალური, შიდა პიროვნული და სხვ. ისტორიის გაკვეთილებზე, თემიდან გამომდინარე, მოსწავლე მასწავლებლის დახმარებით უნდა იკვლევდეს კონფლიქტის წარმოშობის სათავეებს, იაზრებდეს კონფლიქტის მიზეზებს, მოთხოვნისა და საშიშროების ცნებებს, რომლებიც მხარეთა პოზიციებში დევს. ასევე მნიშვნელოვანია, მოსწავლე გაეცნოს კონფლიქტის ანალიზის მეთოდების მრავალსახეობას, სიტუაციიდან გამომდინარე გამოუმუშავდეს მეთოდების ოპერირების უნარი. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მოსწავლეებმა უნდა შეძლონ კონფლიქტის მართვის შესაძლო სტრატეგიების შემუშავება, ისწავლონ ურთიერთქმედებისა და თანამშრომლობს პოზიტიური ცდის დაფასება.

ხშირად მასწავლებლები მხოლოდ ფაქტების კონსტატაციას ახდენენ და გვერდს უვლიან მოსწავლეებში მოქნილი არგუმენტაციის, კრიტიკული აღქმის უნარის ჩამოყალიბება-განვითარებას. კონკრეტული ცოდნის, ფაქტების ობიექტურად შეფასების გარეშე, შეუძლებელია ნებისმიერ საკითხზე მსჯელობა. სწავლება არ გულისხმობს მხოლოდ შინაარსის გადაცემას, იგი მოიაზრებს ასევე კომუნიკაციის სწავლას და საკუთარი აზრის და პოზიციის დაფიქსირების საშუალებას. სწავლების პროცესი არ უნდა იყოს მხოლოდ ცოდნის გადაცემა. საჭირო უნარ-ჩვევები თანდათან უნდა შემუშავდეს და განვითარდეს. სწავლება დაფუძნებული უნდა იყოს შემდეგ პრინციპებსა და უნარებზე:

- სხვებთან კომუნიკაციისა და დიალოგის გამართვის უნარი;
- ერთად ცხოვრების, ერთობლივი გუნდური მუშაობის, თანამგრძნობი ურთიერთობების, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების უნარი;
- სხვასხვა ცივილიზაციებისა და კულტურებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების გამოყოფისა და აღქმის უნარი;
- წინააღმდეგობრივ საკითხებზე მუშაობისა და გადაჭრის უნარი;
- კრიტიკული და ინდივიდუალური აზროვნება.

სასწავლო გეგმის ფარგლებში, უნდა განიხილებოდეს ისეთი საკითხები, როგორიცაა ადგილობრივი პრობლემები, ისტორიული პარალელები, კონფლიქტების მართვა და ინტერკულტურული სწავლება, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს კლასგარეშე პროექტების სახით.

ისტორიის სწავლების პროცესი, რომელიც ხელს შეუწყობს კონფლიქტური სიტუაციისას ნდობის აღდგენას, უნდა მოიაზრებდეს შემდეგს:

- ერთობლივ სწავლებას;
- უსაფრთხო გარემოს „თვითგამოხატვისათვის“;
- „დაშორებისა“ და „მოდელირების“ გამოყენებას;
- თანაგრძნობას ურთიერთობებში.

გაკვეთილების დაგეგმვის პროცესში მასწავლებელი უნდა მოიაზრებდეს მრავალმხრივ მიდგომებს. აქტივობების დაგეგმვისას უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა სასწავლო მეთოდებს: გონებრივი შტურმი, მინი-ლექცია, სიტუაციური ამოცანა, დისკუსია, ჯგუფური მუშაობა და სხვ. მოცემული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას, განწყობის შექმნას თემის უკეთ გასაგებად და დასამუშავებლად.

ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, რომელიც მიმართულია ტოლერანტობის პოპულარიზაციაზე. ნდობის აღდგენის პროცესში მნიშვნელოვანი ფაქტორია ისეთ ისტორიულ მოვლენებზე მაგალითების მოყვანა და მასზე დისკუსიის გამართვა, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას. დაეუფლონ კონფლიქტის წარმატებით გადაწყვეტის უნარს, შეისწავლონ ტერმინები, შეძლონ კომუნიკაცია მშვიდობისათვის, გააცნობიერონ საერთაშორისო ორგანიზაციების როლი სამშვიდობო პროცესებში.

ზემოთ აღწერილი მეთოდოლოგიები საჭიროებს სათანადო რესურსებს, რომელთა განსახორციელებლად ყველაზე მნიშვნელოვანია სწორი ეთოსი და სასწავლო კლიმატი. ასეთი თემების სწავლებისთვის საჭიროა უსაფრთხო გარემო. ასევე, აუცილებელია სავალდებულო სამუშაო წესების შემუშავება, რომლებზეც თავად მოსწავლეები თანხმდებიან. ეს წესები შეეხება თანამშრომლობისა და გუნდურად მუშაობის პრინციპებს, პატივისცემის აუცილებლობას. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს მკაფიო წარმოდგენა სასწავლო ამოცანებსა და მისაღწევ მიზნებზე, ასევე, იმ სტრატეგიებზე, რომლითაც შესაძლებელია ამ მიზნების მიღწევა. მასწავლებლებმა, აუცილებელია, გამოიყენონ ფანტაზიის უნარი, იყვნენ მაქსიმალურად შემოქმედებითნი, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების შემოქმედებითობის ზრდას. აუცილებელია საინფორმაციო წყაროების გამოყენება, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ტექსტები, ასევე არტეფაქტებიც.

მაია გურასაპიშვილი
თბილისის 136-ე საჯარო სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელი

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განათლების რეფორმის მეორე ეტაპი დაიწყო

27 ოქტომბერს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში, სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე განათლების რეფორმასთან დაკავშირებით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი **დიმიტრი შაშკინი**, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **ნიკა გვარამია**, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი გაბაშვილი** და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები დაესწრნენ.

ჟურნალისტებისათვის გამართულ ბრიფინგზე ბატონმა დიმიტრი შაშკინმა აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტრომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მსჯავრდებულთა განათლების კუთხით მიმდინარე რეფორმის პირველი ეტაპი წარმატებით დაასრულა. *„ყველა არასრულწლოვან მსჯავრდებულს უკვე აქვს შესაძლებლობა, მიიღოს საშუალო განათლება და განათლების დამადასტურებელი ატესტატი, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდა. არასრულწლოვან მსჯავრდებულთათვის სწავლება განათლების ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს“* – განაცხადა მინისტრმა.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებმა, რომლებიც მსჯავრდებულებთან მუშაობენ, გადამზადება გაიარეს და ის სავალდებულო პროგრამები აითვისეს, რომლებიც ციხის სპეციფიკის გათვალისწინებითაა შედგენილი. სასჯელაღსრულების სისტემაში განათლების რეფორმის წარმატებით მიმდინარეობის შედეგად, წელს ერთიანი ეროვნული გამოცდები ექვსმა არასრულწლოვანმა ჩააბარა. ქულების მიხედვით, ერთ-ერთი მსჯავრდებული, 70%-იანი დაფინანსებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველაზე პრესტიჟულ, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

შეხვედრაზე, რომელიც უკვე დახურულ კარს მიღმა გაიმართა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უმაღლესი განათლების რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელეს. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, ამჟამად, განათლების რეფორმის მეორე ეტაპზე გადადის, რაც მსჯავრდებულებისთვის უმაღლესი განათლების მიღებას ითვალისწინებს. სამინისტროს, განათლების რეფორმის ფარგლებში, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო, საქართველოს ტექნიკურ და ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის უნივერსიტეტებთან.

დიმიტრი შაშკინი, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი: *დავასრულეთ განათლების რეფორმის პირველი ეტაპი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ყველა არასრულწლოვან მსჯავრდებულს შესაძლებლობა აქვს, მიიღოს საშუალო განათლება და განათლების დამადასტურებელი ატესტატი. დღეიდან მეორე ეტაპზე გადავდივართ. გვინდა მსჯავრდებულებს სათანადო პირობები შევუქმნათ უმაღლესი განათლების მისაღებად ამ საქმეში განათლების სამინისტროს, პარლამენტისა და უმაღლეს სასწავლებლების დახმარების დიდი იმედი გვაქვს. დღეიდან ვიწყებთ მუშაობას თუ რა ბაზა უნდა შეიქმნას იმისათვის, რომ ყველა მსჯავრდებულს მიეცეს შესაძლებლობა (თუ ამის სურვილი აქვს), მიიღოს უმაღლესი განათლება. ეს კი დანაშაულის პრევენციის საუკეთესო საშუალება იქნება.*

ნიკა გვარამია, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *მე, როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, შემიძლია დავადასტურო, ზოგადი განათლების დონეზე საკითხი, პრაქტიკულად, მოგვარებულია. ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ამ პრობლემამ და საკითხი გადაწყვეტილია. რა თქმა უნდა, სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. უმთავრესი პრობლემა უმაღლესი განათლების საკითხია. თქვენთვის ცნობილია ის გარემოება, რომ ბოლო რამდენიმე წელია, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი პირები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დავუშვით და არის შემთხვევები, როცა წარმატებულადაც აბარებენ. პრეზიდენტის კეთილი ნებით, ისინი თავისუფლდებიან და სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებენ. თუ ეს მოვლენა მასიურ ხასიათს მიიღებს, ბუნებრივია, სამწუხაროდ, ყველა ვერ გამოვა გარეთ და ვერ გააგრძელებს სწავლას. ამიტომ უნდა მოვიფიქროთ მექანიზმი, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ ახალგაზრდებს ამის შესაძლებლობას მისცემს. ეს საკმაოდ რთულად მოსაფიქრებელი მექანიზმია და, სავარაუდოდ, საქართველოს კანონმდებლობაში საჭიროებს ცვლილებებს. იმედი გვაქვს, საქართველოს პარლამენტი მხარს დაგვიჭერს და იმ საკითხების გადაწყვეტის ინიციატორი იქნება, რომელიც პრობლემას მოაგვარებს.*

გიორგი გაბაშვილი, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე: *სავსებით ვიზიარებთ მიდგომას, რომ გადაუდებელი და აუცილებელი საქმეა, საპატიმროში მყოფ ადამიანებს მივცეთ საშუალება, უმაღლესი განათლება მიიღონ. საუბარია იმაზე, რომ, პირველ რიგში, შეიქმნას სათანადო საკანონმდებლო ბაზა, მეორე რიგში, უნდა შევთანხმდეთ ფორმატზე. ბუნებრივია, საჭირო იქნება დანახარჯები, ასევე, ძალიან სერიოზული საორგანიზაციო მუშაობა იმისათვის, რომ ეს იდეა განხორციელდეს. ეს ძალიან საჭირო საქმე და ადამიანების საპატიმროდან გამოსვლის შემდგომი სოციალიზაციისა და დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ასე რომ, იდეების დონეზე, აბსოლუტური თანხმობა გვაქვს. იმედია, უმაღლესი განათლების სფეროშიც ისევე წარმატებულად გადაწყდება საკითხი, როგორც ზოგადი განათლების მიღების შემთხვევაში მოხდა.*

მაკა ყიფიანი

„სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის პროგრამის“ შემაჯამებელი კონფერენცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, 21 ოქტომბერს, ბათუმში, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, ჩატარდა რეგიონული კონფერენცია. კონფერენცია მიზნად ისახავდა: პროგრამაში ჩართული 15 სკოლის სასკოლო კოორდინატორის დახმარებით, საპილოტე სწავლების ეტაპზე წარმატებით განხორციელებული ერთობლივი ღონისძიებების პრეზენტაციას და პროგრამაში ჩართული პირების ინფორმირებას 41 მზრუნველობამოკლებული ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდებისათვის რეგულარულად ამუშავებული კლუბების შესახებ.

მოხდა მოწვეული სტუმრების ინფორმირება ბრიტანულ ორგანიზაციასთან Children's High Level Group თანამშრომლობით დევნილ, რეპატრირებულ და ბოშა მოზარდებთან განხორციელებული აქტივობებისა და მიმდინარე წელს დაგეგმილი სიახლეების თაობაზე.

კონფერენციას ესწრებოდნენ პროგრამაში ჩართული დასავლეთ საქართველოს რაიონების რესურსცენტრის ხელმძღვანელები, 27 სკოლის სასკოლო კოორდინატორი, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენელი.

კონფერენცია გახსნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, ბატონმა **მათე ტაკიძემ**.

პროგრამა დადებითად შეაფასა კონფერენციაზე მოწვეულმა სტუმარმა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენელმა, ქალბატონმა **თინა პეტერსონმა**: *„2008 წლიდან ევროკომისია საქართველოში აკვირდება სტაბილიზაციას და ნორმალიზაციას. განსხვავება ჩვენს შორის ის არის, რომ თქვენ გაქვთ რაღაც უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ მანდატი, თქვენ გაქვთ ამ პროცესების რწმენა. ღრმად ვაფასებ თვენს ენთუზიაზმს, ასევე იმ თვისებას, რომ მზად ხართ დაეხმაროთ საკუთარ თავს და თავად მოძებნოთ თემში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. „სათემო აქტივობების“ პროგრამას ყველა მონაწილისთვის მოაქვს სარგებელი. სათემო აქტივობების განხორციელება საქართველოსათვის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია სწორი მიმართულებით. სათემო აქტივობები იქცა თქვენი ცხოვრების წესად, შეიძლება თქვენ გახდეთ კარგი მაგალითი მთელი ევროპისთვის“* – აღნიშნა მან.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა **ალექსანდრე ბაკურიძემ** პროგრამაში უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვის სურვილი გამოთქვა.

აღნიშნულმა კონფერენციამ ხელი შეუწყო პროგრამაში ჩართული სასკოლო კოორდინატორების მიერ დაგროვილი გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. კონფერენციის მსვლელობისას მსმენელებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია პროგრამის ფარგლებში სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებებისა და კონკურსების თაობაზე.

ნანტელი ბავშვების ქართული დღიურები

თბილისის და საფრანგეთის ქალაქ ნანტის დამეგობრების 30 წლის იუბილეს აღსანიშნავად თბილისის 124-ე საჯარო სკოლა საფრანგეთის დელეგაციას მასპინძლობს. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: ნანტის მერიის წარმომადგენლები – **ელოდი მარშანი** და **ვიოლენ ტურვალი**, მერის მოადგილის, **რაშელ ბოშეს** ხელმძღვანელობით; ნანტის წმ. ჟან ბატისტის სახელობის ლიცეუმის პედაგოგები – **გვენოლა ბრიანი, ფილიპ ლეგრანი, ჟან-მარკ პრიმა, ნადინ ლე კორე** და ამავე ლიცეუმის 11 მოსწავლე. 124-ე საჯარო სკოლა და ნანტის წმ. ჟან ბატისტის სახელობის ლიცეუმი ჩართული არიან გაცვლით სასწავლო პროგრამაში, რომლის მიზანი ქართველი და ფრანგი მოსწავლეების დამეგობრება, უძველესი კულტურის მქონე ორი ქვეყნის ისტორიის გაცნობა, ეროვნული ფასეულობების პოპულარიზება და საგანმანათლებლო პროცესის სრულყოფაა.

22 ოქტომბერს, 124-ე საჯარო სკოლაში, გაიმართა კონფერენცია, რომელიც ქართულ-ფრანგულ ურთიერთობებს მიეძღვნა. პროექტის მონაწილე ქართველმა მოსწავლეებმა ფრანგულ ენაზე წარმოადგინეს საკონფერენციო ნაშრომები. ეს მოსწავლეები, 2010 წლის აპრილში, საპასუხო ვიზიტით, ნანტში გაემგზავრებიან.

იმავე დღეს ამ ორ სასწავლო დაწესებულებას შორის გაფორმდა მეგობრობის მემორანდუმი, რომელსაც ხელი მოაწერეს 124-ე საჯარო სკოლის დირექტორმა, **ელენე შაბურიშვილმა** და ნანტის წმ. ჟან ბატისტის სახელობის ლიცეუმის პედაგოგმა, პროგრამის კოორდინატორმა, **ფილიპ ლეგრანმა**.

საფრანგეთიდან ჩამოსულ სტუმრებთან ერთად, ღონისძიებას ესწრებოდნენ: საფრანგეთის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **ერიკ ფურნიე**; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ირინა ქურდაძე**; საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, ისან-სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი **რუსუდან კერვალიშვილი**; ისან-სამგორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ირინა გოგონაია**; თბილისის სკოლების დირექტორები და პედაგოგები.

***

ელენე შაბურიშვილი, თბილისის 124-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *„გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ დღეს 124-ე საჯარო სკოლა ორი ქვეყნის – საფრანგეთისა და საქართველოს – მეგობრობის ცენტრია. მოგეხსენებათ, რომ 2009 წელს თბილისისა და ნანტის მეგობრობას 30 წელი უსრულდება. ამ თარიღთან დაკავშირებით, თბილისის 124-ე საჯარო სკოლასა და ნანტის წმინდა ჟან ბატისტის ლიცეუმს შორის წარმატებით განხორციელდა სასწავლო-გაცვლითი პროგრამა. მიმდინარე წლის 18 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე, სკოლა 10 ფრანგ მოსწავლესა და 4 პედაგოგს მასპინძლობს.*

ჩვენი სკოლის დაარსების დღიდან წარმატებით ისწავლება ფრანგული ენა. პროფესიონალი მასწავლებლების დამსახურებაა, რომ წელს საამაყოდ გვაქვს საქმე – ჩვენი სკოლის ორი კურსდამთავრებული საფრანგეთში, სტრასბურგში აგრძელებს სწავლას. იმედია, არ შეგვარცხვენენ. არც ის არის შემთხვევითი, რომ ეს სასწავლო გაცვლითი პროგრამა ჩვენს სკოლაში განხორციელდა, რადგან სწორედ ამ სკოლამ, 1996 წელს, უმასპინძლა ქალაქ ნანტის მერს, ***ჟან მარკ ეიროლტს*** *მეუღლესთან ერთად. ამ სტუმრობამ გადაგვაწყვეტინა ურთიერთობის გაღრმავება და დღეს, უკვე, სახეზეა წარმატებული პროექტი. დღევანდელი დღე იმითაც მნიშვნელოვანია, რომ გაფორმდა ორი ქვეყნის, ორი ქალაქის, ორი სკოლის მეგობრობის ხელშეკრულება – ხელი მოეწერა მემორანდუმს. ამ დიდ სიხარულს, ჩვენთან ერთად, საპატიო სტუმრებიც იზიარებენ.*

დაბოლოს, არ შემიძლია, არ აღვნიშნო ორი ქალბატონის – ჩვენი სკოლის ყოფილი დირექტორის, ***ლია კოსტავასა*** *და ფრანგული ენის პედაგოგის* ***მედეა ბარჯაძის*** *ამაგი – ის, რომ პროექტი დღეს წარმატებით ხორციელდება, მათი დამსახურებაა.“*

ირინა ქურდაძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„მოგესალმებით ყველას, პირველ რიგში, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, ვინც ძალისხმევა არ დაიშურა, ეს პროექტი რომ განხორციელებულიყო. მივესალმები ბატონ ელჩს, რომელიც ყოველთვის გულისხმიერებით ეკიდება ყველა იმ პროექტს, რომელიც ხელს უწყობს საფრანგეთისა და საქართველოს მეგობრული ურთიერთობების გაღრმავებას; ქალბატონ რუსუდანს, რომლის საქმიანობის შესახებ ყველანი კარგად ვართ ინფორმირებულნი. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს განათლების სფეროს. გამორჩეულად მინდა, მივესალმო ნანტიდან ჩამობრძანებულ დელეგაციას. ეს სტუმრობა იმაზე მიგვითითებს, თუ რაოდენ ყურადღებას უთმობს ნანტი 30-წლიანი მეგობრობის ტრადიციას. მადლობა სკოლას,*

ამგვარი პროექტის განხორციელებას რომ ჩაუდგა სათავეში. მართალია, ამაში დიდი წვლილი დირექტორს, ელენე შაბურიშვილს მიუძღვის, მაგრამ მოსწავლეების დაინტერესების გარეშე, პროექტის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. თქვენი დამეგობრების დახმარებით გაცილებით ადვილი იქნება იმ ტრადიციული ურთიერთობის გაგრძელება, რომელიც ჩვენ ორ ქვეყანას აკავშირებს. ვიმედოვნებ, ეს ერთჯერადი ღონისძიება არ იქნება. თქვენს მეგობრობას ახლა ეყრება საფუძველი, მომავალში არაერთ პროექტს შეიმუშავებთ და ტრადიცია გაგრძელდება. მსგავს წამოწყებებში განათლების სამინისტრო ყოველთვის მხარს დაგიჭერთ.“

რუსუდან კერვალიშვილი, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი: *„დიდი მადლობა დღევანდელი ღონისძიებისთვის. მინდა აღვნიშნო, რომ საფრანგეთის ყურადღება თითოეულმა ჩვენგანმა განსაკუთრებულად ვიგრძენით საქართველოსთვის ყველაზე რთულ ვითარებაში, 2008 წლის აგვისტოში. ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ ჩვენი მომავალი, ჩვენი ახალგაზრდები იყვნენ უფრო ბედნიერები, უფრო მჭიდრო იყოს კავშირი ორ ქვეყანას შორის. მინდა, მადლობა გადავუხადო პროექტის განმხორციელებელ ორივე მხარეს, განსაკუთრებით ბავშვებს, რომლებიც, როგორც გავიგე, შრომას არ იშურებდნენ იმისთვის, რომ ეს პროექტი შემდგარიყო. დიდი მადლობა პროექტის ყველა მონაწილეს.“*

ერიკ ფურნიე, საფრანგეთის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში: *„მოხარული ვარ, რომ პროექტი დაიწყო. პირველ რიგში, მინდა ახალგაზრდა ნანტელებს და მათ ქართველ თანატოლებს მივმართო. 2008 წლის ომის დროს, რომელმაც ჩვენ ყველანი ერთმანეთთან კიდევ უფრო დაგვაახლოვა, ზოგიერთები გარბოდნენ საქართველოდან, მაშინ განვაცხადე, რომ ომისშემდგომ საქართველოში კიდევ უფრო მეტი ფრანგი ჩამოვიდოდა. სიტყვა შევასრულეთ კიდეც, რადგან ძალიან მალე საქართველოში ქალაქ ლილის ჟურნალისტიკის უმაღლესი სკოლიდან 50 სტუდენტი ჩამოვიდა, აპრილში კი ნანტმა 30-კაციანი დელეგაცია გამოაგზავნა. ამ დელეგაციაში შედიოდა ფილიპ ლეგრანი, რომელთან ერთადაც მცდელობა არ დაგვიკლია, რომ საქართველოში ეს სიმპათიური ფრანგი ახალგაზრდები ჩამოგვეყვანა. დარწმუნებული ვარ, ქართველი მეგობრები მათ საქართველოს აღმოჩენასა და შეყვარებაში დაეხმარებიან. თბილისსა და ნანტს კიდევ 30-წლიან პარტნიორობას ვუსურვებ.“*

რაშელ ბოშე, ქალაქ ნანტის მერის მოადგილე: *„ამ სკოლაში რომ შემოვედი, ვერ აგიწერთ, რა გრძნობა დამეუფლა, ქართველი მოსწავლეების გვერდით, ფრანგი თანატოლები რომ დავინახე და კიდევ... საფრანგეთის რუკა, რომელიც საკლასო ოთახის კედელზეა გაკრული. ამ პროექტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ეს ახალგაზრდები თავიანთ ქვეყნებს წარმოადგენენ და მათი მეგობრობა კიდევ არაერთი 30 წელიწადი გაგრძელდება. დიდი მადლობა გულთბილი მიღებისთვის.“*

გვენოლა ბრიანი, წმინდა ჟან ბატისტის ლიცეუმის პედაგოგი: *„გაცვლითი პროგრამა, რომელშიც ჩვენი სკოლის სხვადასხვა კლასების მოსწავლეები მონაწილეობენ, 2007 წლის აპრილში, 124-ე სკოლაში სტუმრობისას დაიგეგმა. ჩვენმა აღსაზრდელებმა ყველაფერი იღონეს, რომ მოეძიებინათ ფინანსები და ხორცი შეესხათ ამ პროექტისთვის. მათ მთელი ზაფხული იმუშავეს, რომ დაეგროვებინათ ფული და ჩამოსულიყვნენ საქართველოში. სწორედ ამიტომ არიან ისინი დღეს თქვენ გვერდით, მომავალში კი მათ თანატოლ ქართველებს მიეცემათ შესაძლებლობა, ესტუმრონ ნანტს. პარტნიორობისთვის მადლობას ვუხდი სკოლას, ქალბატონ დირექტორს, ელენე შაბურიშვილს, ფრანგული ენის პედაგოგებს და მოსწავლეებს, რომლებმაც ასე გულთბილად მიგვიღეს და ქართული სტუმართმოყვარეობა გვიჩვენეს. მადლობას ვუხდი, ასევე, საფრანგეთის ელჩს საქართველოში, ბატონ ერიკ ფურნიეს მხარდაჭერისთვის. ჩვენი სურვილია, ეს პროექტი გაგრძელდეს და უფრო მყარი მეგობრობის საფუძველი გახდეს.“*

ლია კოსტავა, 124-ე საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი: *„1996 წლის ნოემბერში ჩვენს სკოლას ესტუმრა ნანტის მერი ჟან-მარკ ეიროლტი, მეუღლესთან ერთად. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ჩვენი ორი სკოლის დამეგობრებას. მოსწავლეები ერთმანეთს წერილებს წერდნენ. პროექტის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე თეონა მუსერიძე უკვე სტუდენტია. მაშინ ნანტის მერმა სახელმძღვანელოები გამოგვიგზავნა საჩუქრად, ასევე, ფირსაკრავი და სხვ.*

ქალბატონმა ელენე შაბურიშვილმა წარმატებით გააგრძელა ეს ურთიერთობა, რომლის შედეგსაც დღეს ყველანი ნათლად ვხედავთ.“

მარინე მამარდაშვილი, 124-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე: *„მოსწავლეები სკაიპით ურთიერთობდნენ ერთმანეთთან, 4-5 თვეა, რაც ერთმანეთი გაიცნეს. ფრანგი მოსწავლეები ქართველი თანატოლების ოჯახებში ცხოვრობენ და მათივე დახმარებით ეცნობიან საქართველოს. ისინი, ნანტის მერიასთან შეთანხმებით, საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ – წერენ დღიურებს, თავიანთ შთაბეჭდილებებს ინიშნავენ, აკეთებენ რეპორტაჟებს ყველა სფეროში, გარდა პოლიტიკისა – „ქართული პორტრეტები“, „ქართული სიტუაციები“, „საქართველოს ისტორია და კულტურა“. აგროვებენ მასალას და საფრანგეთში რომ დაბრუნდებიან, ბროშურების სახით გამოსცემენ და პრესაშიც გააშუქებენ. ფრანგები ცდილობენ, ჩვენი მოსწავლეების მგზავრობა დააფინანსონ. ფრანგ მოზარდებს, საჭირო თანხის დასაგროვებლად, მთელი ზაფხული უმუშავიათ, ძალიან მოტივირებული ახალგაზრდები არიან.“*

***

124-ე სკოლის დირექტორმა, ელენე შაბურიშვილმა წაიკითხა საქართველოსა და საფრანგეთის პრეზიდენტების სახელზე დაწერილი მიმართვა:

„საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს და საფრანგეთის პრეზიდენტს, ბატონ ნიკოლა სარკოზის!

ბატონო პრეზიდენტებო, მოგესალმებით და გვიხარია, რომ თქვენ მიერ დასახული კურსი ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობიანი განვითარების გზაზე შედეგიანი აღმოჩნდა. სწორედ თქვენი ძალისხმევის წყალობით, საქართველომ უკვე მიაღწია წარმატებას ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე. ამის მაგალითია ის უდიდესი თანადგომა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს ფრანგმა ხალხმა და პირადად პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ გამოავლინა ქართველი ხალხის მიმართ. ამან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რაოდენ აუცილებელია ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაღრმავება. 124-ე საჯარო სკოლა უდიდესი ენთუზიაზმით ახორციელებს ქალაქ ნანტის წმინდა ჟან ბატისტის სახელობის ლიცეუმთან გაცვლით სასწავლო პროგრამას, რომლის მიზანია ქართველი და ფრანგი ახალგაზრდების დამეგობრება, უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ორი ქვეყნის ისტორიის გაცნობა, ეროვნული ფასეულობების პოპულარიზაცია. მოგეხსენებათ, გაცვლითი პროექტები ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის სრულყოფას, მის მიახლოებას თანამედროვე ევროპულ სტანდარტებთან.

ბატონო პრეზიდენტებო, მოგმართავთ თხოვნით, გაითვალისწინოთ ამ წამოწყების მნიშვნელობა და დაგვეხმაროთ ჩვენი მიზნების რეალიზაციაში.“

შემდეგ სტუმრებმა სააქტო დარბაზში გადაინაცვლეს, სადაც საზეიმო კონცერტი გაიმართა. ქართველმა და ფრანგმა მოსწავლეებმა მონაცვლეობით წარმოადგინეს მათ მიერ მომზადებული პროგრამა.

ლალი თვალაგეიშვილი

რეგიონი

ურთიერთობა, რომელმაც სკოლა მეტად მიმზიდველი გახადა

ნინო ბახტურიძე

მაია ბიძინაშვილი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 24 საჯარო სკოლაა, აქედან 3 – კერძო, 21 – სახელმწიფო, მათ შორის 1 – სკოლა მცირე პანსიონური მომსახურებით, სადაც სწავლობენ მცირე გონებრივი შეზღუდვის მქონე მოსწავლეები.

სოფელ დუგაანში შენდება ევროსტანდარტების სკოლა, რომელზეც 4 მილიონი ლარი დაიხარჯება. წელს ორ სკოლას – ვაქირის და საქობოს, ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, შეკეთდა სახურავები, გამოიცვალა კარ-ფანჯრები და დამონტაჟდა გათბობის სისტემები. მომავლისთვის განზრახულია ახალი სკოლის აშენება ერისიმედში, სადაც აჭარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტები ცხოვრობენ. ამჟამად ერისიმედის სკოლა განთავსებულია ბაღის შენობაში. თუმცა ახალი სკოლის აშენებამდე ბაღის შენობას მსუბუქი სარემონტო სამუშაო მაინც ჩაუტარდა. წელს სიღნაღის მუნიციპალიტეტის 6 სკოლა აღიჭურვა სასკოლო ინვენტარით – მერხები და სკამები, სულ 819 ერთეული. ინფრასტრუქტურის სააგენტოს ინიციატივით, ახალი ინვენტარით ეტაპობრივად დაკომპლექტდება ყველა სკოლა ქვეყნის მასშტაბით.

სკოლა-პანსიონის სასადილოს სახურავი სასწრაფოდ არის შესაცვლელი, რესურსცენტრმა ეს საკითხი უკვე დააყენა სამინისტროს წინაშე. შედარებით რთული მდგომარეობაა ტიბაანის სკოლაში. მომავალ სასწალო წელს ტიბაანის სკოლას ჩაუტარდება სარემონტო სამუშაოები. გათბობის პრობლემა წელს არავის ექნება.

ნუკრიანის საჯარო სკოლის ცხოვრება, სადაც 200-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს, განსაკუთრებით მიმზიდველი და საინტერესო 2006 წლიდან გახდა. ეს ის თარიღია, როცა სკოლის მესამე სართულის მარჯვენა ფლიგელში „კავკასიური სახლის“ რეგიონულმა ოფისმა დაიდო ბინა და გაიდო ხიდი „კავკასიური სახლის კულტურულ ურთიერთობათა ცენტრსა“ და სკოლას შორის. ამ ურთიერთობამ არა მარტო სკოლას, სოფელსაც ბევრი სიკეთე მოუტანა. პირველ რიგში, ცენტრის ინიციატივით და ჰოლანდიურ ფონდ „ჰორიზონტის“ დაფინანსებით გარემონტდა სკოლის ავარიული შენობა და სპორტული დარბაზი.

„ჩვენი სოფელი მაღალმთიან კატეგორიაში გადის, ვაუჩერიც შესაბამისი გვაქვს, მაგრამ ამ თანხებით გარემონტებას მაინც ვერ შევძლებდით – აღნიშნა ჩვენთან საუბარში, სკოლის დირექტორმა, **ნინო ბახტურიძემ**. – *„კავკასიური სახლის “ დირექტორი, მწერალი* ***ნაირა გელაშვილი*** *ჩვენი სოფლის მკვიდრია, სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა სკოლისა და ცენტრის თანამშრომლობა. მესამე სართულზე ოაზისია ჩვენი ბავშვებისათვის. გაკვეთილების შემდეგ იქ მოსწავლეები სხვადასხვა წრეებში მეცადინეობენ. შარშან აბიტურიენტთა კლუბიც ჩამოყალიბდა, რომელიც მეთორმეტეკლასელებს უნარების, ქართულისა და უცხო ენების მომზადებაში ეხმარებოდა. მასწავლებლები ხელშეკრულებით არიან აყვანილები, ძირითადად, ჩვენი სკოლიდან. მოსწავლეებისთვის კი მოსამზადებელი კურსები უფასოა. წელს პროექტმა, ნანილობრივ, მიმართულება შეიცვალა – ფუნქციონირებს მხოლოდ უნარების კურსი, სამაგიეროდ, გაძლიერდა სახელობო მიმართულება. თუმცა, მომავალი აბიტურიენტებისათვის ეს სიახლე არც თუ ისე მიმზიდველი აღმოჩნდა. არადა, ორი პარალელური (თითო კლასში 16 მოსწავლე) მეთორმეტე კლასი მხოლოდ წელს გვეყოლება. აბიტურიენტთათვის მთავარი იმ საგნებში მეცადინეობაა, რომელიც მისაღები გამოცდებისთვის გამოადგებათ, მეტიც, რეპეტიტორებთან მხოლოდ მეთორმეტე კი არა, მეთერთმეტე კლასელებიც დადიან, რადგან სკოლისა და მისაღები გამოცდების პროგრამები ერთმანეთს არ შეესაბამება. მასწავლებლები არც სახელმძღვანელოებით არიან კმაყოფილები.*

დირექტორად არჩევისთანავე, მასწავლებლებს გადამზადებას დავპირდი, ეს დაპირება შევასრულე – მოწვეულმა ტრენერმა გადაამზადა ჩვენი სკოლის პედაგოგები, ისინი ახლებური მეთოდებით მუშაობენ, შედეგებიც გვაქვს – ჩვენი მოსწავლეები არაერთი ოლიმპიადის მოანაწილეები და გამარჯვებულები არიან. იმდენად დაუზარელი და პროფესიონალი პედაგოგები გვყავს, რომ ორ უნარშეზღუდულ მოსწავლეს, რომლებსაც გადაადგილება უჭირთ, სახლში აკითხავენ და იქ ამეცადინებენ. ერთ-ერთ უნარშეზღუდულ მოსწავლეს, მუნიციპალიტეტის დახმარებით, ეტლი შევუძინეთ, თუმცა სოფელში ეტლით გადაადგილებაც რთულია.“

საგაკვეთილო პროცესის შემდეგ სკოლა აქტიურად აგრძელებს ცხოვრებას. მოსწავლეები მესამე სართულისკენ იჩქარიან, სადაც მათ სახელოსნოებში მეცადინეობა ელოდებათ, ყველაზე საინტერესო სასკოლო ცხოვრება სწორედ სკოლის მესამე სართულს უკავშირდება.

„ბუნებრივია, ჩვენს ცენტრს სკოლაში საგანმანათლებლო ფუნქცია აკისრია, – გვიამბობს **მაია ბიძინაშვილი**, „კავკასიური სახლის“ რეგიონული ოფისის ხელმძღვანელი, სათემო ორგანიზაცია „ნუკრიანის“ წარმომადგენელი, – *ეს არის სკოლის ბავშვებისთვის დახმარება, რათა მეტად დაიტვირთონ და გაიღრმავონ ცოდნა ამა თუ იმ სფეროში. ფუნქციონირებს დრამწრის სახელოსნო (ხელმძღვანელი – ჩვენი სოფლის მკვიდრი* ***თორნიკე მახარაშვილი****). ის მუსიკალურ და სამხატვრო ხელმძღვანელთან ერთად მუშაობს სპექტაკლების დადგმაზე; მინანქრის სახელოსნო, სადაც მინანქრის ხელოვნებას, ძირითადად, ბიჭები ეუფლებიან. გვაქვს სახელოსნოები, რომელიც გაკეთდა ჩვენი სკოლის მშობლებისთვის – სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი დედებისთვის. ფუნქციონირებს თექის და ქვილთის სახელოსნოები, სადაც მუშაობა ძალიან მოსწონთ ჩვენს მოსწავლეებს“.*

მცირე პროექტის „სოფელ ნუკრიანის ქალთა ხელგარჯილობის სახელოსნოს“ ფარგლებში ოცდაათმა ქალბატონმა (სკოლის მოსწავლეთა მშობლები, სკოლის პედაგოგები და თანამშრომლები) შეისწავლა სხვადასხვა ხელობა: ფარდაგი, თექა, ქვილთი, ეროვნული კოსტიუმების კერვა – რაც მათი დასაქმების შანსია. სახელოსნოში შეიკერა ეროვნული კოსტიუმები სოფელ ნუკრიანის ბავშვთა ცეკვის ანსამბლისათვის, რომელიც სკოლის მოსწავლეებითაა დაკომპლექტებული.

ქვილთის ხელოვნებას არაერთი მშობელი და მოსწავლე ეზიარა, მათ მიერ ნაკუწებისგან გემოვნებით შეკერილი საბნები უცხოელების განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს. ხშირად კი მათი ნახელავი ფესტივალებზე (არტ გენი), სხვადასხვა კონკურსებზე იფინება, საშობაოდ კი – „კავკასიურ სახლში“ გამართულ გამოფენა-გაყიდვებზე.

მაია ბიძინაშვილი: *„ძალიან გვინდა სამომავლოდ შევიძინოთ ეზოიანი სახლი, სადაც ეთნოგრაფიულ სახელოსნოებს მოვაწყობთ. უფრო მეტ ადამიანს მივიზიდავთ, სტუმრებსაც თავისუფლად მივიღებთ და გამოფენებსაც უფრო მასშტაბურს გავხდით. გარდა ამისა, გაფართოება იმის გამოც იქნება აუცილებელი, რომ, სტატისტიკური მონაცემებით, 2006 წლიდან შობადობამ, ჩვენდა საბედნიეროდ, სოფელში იმატა. რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლაში დადგება პარალელური კლასების გახსნის აუცილებლობის საკითხი. შესაბამისად, ჩვენც მეტი ფართი დაგვჭირდება. ამის გათვალისწინებით, სკოლასთან ახლო, კეთილმოწყობილი ეთნოგრაფიული სახელოსნოების ცენტრი გაცილებით პროდუქტიული იქნება. ამჟამად კი ყოველწლიურად მხოლოდ თითო კლასის მასპინძლობას ვახერხებთ. მეცადინეობა გაკვეთილების შემდეგ ტარდება, ბავშვები ჯერ უფასოდ სადილობენ და მეცადინეობას ამის შემდეგ იწყებენ.“*

სოფლის მკვიდრი სოციალურად დაუცველი ბავშვები ცენტრიდან საკვირაო სკოლაში თბილისში დაჰყავდათ, ისინი ახლა სტუდენტები არიან, მაგრამ თანატოლებთან ურთიერთობას დღემდე აგრძელებენ, ჩაბმული არიან სხვადასხვა სახის პროექტებში. ეს ურთიერთობა ისევ გრძელდება, სწორედ „ბათ-კვირის სკოლის“ ბაზაზე წარმოიშვა იდეა: „მულტიდისციპლინარული საზაფხულო ბანაკი სოფელ ნუკრიანში“, რომელიც რამდენიმე წელია, წარმატებით ხორციელდება. ზაფხულობით საკვირაო სკოლის აღსაზრდელები ნუკრიანში ერთ ან ორთვიან ბანაკებში ისვენებენ, ადგილობრივ მოსწავლეებთან ერთად. ამ ზაფხულს ნუკრიანის ბანაკმა სამაჩაბლოდან დევნილ ბავშვებს უმასპინძლა – სტუმარმა ბავშვებმა ოჯახურ გარემოში გაატარეს ზაფხული.

სკოლას დიდი სპორტული მოედანი აქვს, მართალია, ჯერჯერობით, კეთილმოუწყობელია, მაგრამ ამის მოგვარებაზე დირექცია უკვე ზრუნავს. დაგეგმილია ახალი, თანამედროვე ტიპის სპორტული მოედნის მოწყობა, რომელიც, ტრადიციულად, სოფლის მოედნის ფუნქცია ექნება. მეტიც, წელს სკოლამ წლების წინ დაკარგული მიწაც დაიბრუნა. სამომავლოდ კი სკოლის მფლობელობაში მყოფ მიწაზე სახელობო სასწავლებლის მოწყობაც იგეგმება. წარმატებული სკოლა რომ სოფლის ერთგვარი სახეა, ეს სულ ახლახანს „კავკასიური სახლისა“ და სკოლის ერთობლივმა ღვინის ფესტივალმაც დაადასტურა. სოფელს უამრავი სტუმარი ჰყავდა, მათი მასპინძელი კი ნუკრიანის საჯარო სკოლა იყო. სოფლის მდგრადი განვითარებისა და ბავშვთა და მოზარდთა განათლებისათვის ხელშეწყობის მიზნით, ნუკრიანში სოფლის ქომაგებმა, 2006 წლიდან, ერთ-ერთი გერმანული ფონდის ხელშეწყობით, დაიწყეს პროექტის „გადავარჩინოთ ჩვენი სოფელი“ განხორციელება, „კავკასიური სახლისა“ და სოფლის გადამრჩენთა ქომაგები კი ყველაზე მთავარს – სოფელს ახალგაზრდების დაცლისგან გადაარჩენენ. „ნუკრიანი ჩემი ფესვებია“ – ამ სასკოლო პროექტის ავტორი მოსწავლეები (**ნინო დიერაშვილი, ნუკი ღვლიღვაშვილი, გვანცა ოტიაშვილი, იზა ქუფარაშვილი, ნინო გოგინაშვილი, მარიამ ღვლიღვაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ნია ფირაშვილი**) დეტალურ ინფორმაციას გვაწვდიან თავიანთი სოფლის შესახებ – ნუკრიანის ეკოსისტემა: ადგილმდებარეობა, ბუნებრივი რესურსები, სოფლის წარმოშობის ისტორია,

ნუკრიანის კულტურა, ადათ-წესები, დიალექტი, კულტურული ძეგლები... სწორედ ამან დააფიქრა პროექტის პატარა ავტორები: საიდან მოვდივართ, ვინ ვიყავით, რანი ვართ...

„ჩემი სკოლის ეზოში დგას საუკუნეს გადაცილებული ცაცხვი, რომელიც მძლავრი ფესვებით ჩასჭიდებია მშობლიურ მიწას და ამაყად გადასცქერის სოფლის ულამაზეს სანახებს.

ვეხები მის მრავლისშემსწრე ბებერ სხეულს. ასე მგონია, მანაც ჩამიხუტა, უზარმაზარი ენერგია მიწილადა და მაიძულა მეფიქრა იმაზე, თუ საიდან მოვდივართ, ვინ ვიყავით, რანი ვართ.

დავყურებდი მის დაკოჟრილ ფესვებს, რომელიც თითქოს მომიწოდებს შევიცნო ის მიწა, წყალი, ჰაერი, ის ცოცხალი სამყარო, რომელიც მასაზრდოვებს. ჩემი ფესვებიც ხომ ამ ცაცხვივით ჩემს სოფელში - ნუკრიანშია.“

დასასრული მე-6 გვერდზე

მე-5 გვერდიდან

ამონარიდები პროექტიდან „ნუკრიანი – ჩემი ფესვები“

ინფორმაცია ნუკრიანის წარმოშობის შესახებ

სიღნაღისა და მისი რაიონის სოფლების წარმოქმნამდე გაცილებით ადრე, ამ მიდამოებში, არსებობდა „ქისიყი (ხისიყი, ხისიხი), რომელიც მოიცავდა „ქიზიყის გზაზე მეტად მჭიდროდ განლაგებულ ქართულ დასახლებებს.

„ქიზიყი“ თავდაპირველად მაღარო-ნუკრიან-ქიზიყის გორის ფარგლებს ემთხვეოდა, შემდეგ კი მხოლოდ „ქიზიყის გორას“ გულისხმობდა და ქართლ-კახეთის აღმოსავლეთის კარის ციტადელად ითვლებოდა.

სწორედ ამ მიდამოებში, ჯერ კიდევ მე-4 საუკუნის შუახანებში, ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს განსასვენებელ ადგილზე, დაფუძნდა იბერიის ერთ-ერთი უდიდესი სამლოცველო – წმინდა ნინოს მონასტერი. ამიტომ, თავის დროზე, მირიან მეფეს ამ რაიონის საგანგებოდ გამაგრება და გამშვენიერება უბრძანებია, რისთვისაც სამეფო განძის ნახევარი გაუღია.

ძველი კამბეჩოვანი მხარის უდიდესი ნაწილი რამდენჯერმე ძირფესვიანად გაუნადგურებიათ ბექა ყაენსა და შაჰ-აბას პირველს. ამიტომაა, რომ აქ ყოველ ნაბიჯზე გვხვდება „ნაქალაქარი“, „ნაომარი, „ქვევრის მიწები“, „ნასაყდრალები“, „ნაკალოვრები“.

ქიზიყის დღევანდელი მოსახლეობის დიდი ნაწილი, ძირითადად, სისხლიან ქარტეხილთა შემდეგ არის ჩასახლებული მთიანი კახეთიდან, ქართლიდან, ნაწილობრივ იმერეთიდან, გურიიდან და რაჭიდან.

კამბეჩოვანის მხარეში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ადამიანი უხსოვარი დროიდან ცხოვრობს. სოფელ ნუკრიანის მიდამოებში მიკვლეულია 3 ათასი წლის წინანდელი ნაქალაქარი 4 ნამოსახლარი ბორცვით.

ნუკრიანის კულტურული ძეგლები

ნუკრიანში ორი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაა. ზემო ნუკრიანში მდებარეობს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც აგებულია მე-16 საუკუნეში. ეკლესიას რესტავრაცია ჩაუტარდა 1989 წელს

ეკლესიის ტერიტორიაზეა საფლავის ქვები, რომლებიც თარიღდება მე-19 საუკუნის დასაწყისით და მე-20 საუკუნის დასასრულით. საფლავის ქვას თუ დავუკვირდებით ჩანს, რომ ამ ადგილას ქალბატონია დაკრძალული.

ქვემო ნუკრიანში წმინდა გიორგის სახელობის მეორე ტაძარი აგებულია მე-19 საუკუნეში, აღდგენილია 1980 წელს; მე-12 საუკუნეში – ქაშუეთის ეკლესია, აღდგენილია 1984 წელს. იქ, სადაც დღეს სოფლის შენობაა, იყო ძელიცხოვლის ეკლესია, აქვე იყო სასაფლაოც. სამწუხაროდ ეს ეკლესია საბჭოთა რეჟიმის დროს დაანგრიეს.

ნუკრიანის ადათ- წესები და დღესასწაულები

უძველესი და თვითმყოფადია სოფლის ადათ-წესები. აი, რა მომიყვა „ზედაშის შესახებ ერთმა ძალიან საინტერესო ქალბატონმა – 75 წლის ნიაზი ჩერქეზიშვილმა: *„ჩვენი წინაპრები ღვინოს ქვევრებში აყენებდნენ. შემდეგ ყველა ქვევრიდან, ზედა შრიდან ღვინოს იღებდნენ და ცარიელ ქვევრში აგროვებდნენ. ეს იყო საუკეთესო ხარისხის ღვინო, რომელსაც „ზედაშე“ უწოდეს (ანუ „ზედნაშენი“). შემდეგ ამ ღვინოს ეკლესიას შესწირავდნენ.*

მტერთა შემოსევის დროს ხალხი ეკლესიაში ვეღარ მიდიოდა. თავის ეზოში აკურთხებინებდა მოძღვარს „ზედაშეს, სანთელს ანთებდა ქვევრთან, ლოცულობდა და უფალს სამშობლოსა და ოჯახის კეთილდღეობას შესთხოვდა.“

ზედაშე

დღესაც სოფელში ყველა ოჯახს აქვს თავისი ზედაშე, სადაც ლოცულობენ და საკლავს კლავენ.

ზედაშე შეიძლება იყოს როგორც საცხოვრებელი სახლის ეზოში, ისე მისგან მოშორებითაც. ეს ტრადიცია საქართველოში მხოლოდ ქიზიყისათვის არის დამახასიათებელი.

ხალხური რეწვა

ნუკრიანში ხალხური ხელსაქმე ტრადიციულ ოჯახებს წესად მოსდევდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. რთვა-ჩეჩვა, ქსოვა, ქარგვა, კერვა ოჯახში ყველა ქალს და, უპირველეს ყოვლის, გასათხოვრებს უნდა სცოდნოდათ. პატარძალს თავისი ნახელსაქმარი ხურჯინ-ჯეჯიმები და წინდები თან უნდა წაეღო ქმრეულებისთვის საჩუქრად. ამავე დროს, ქმრის სახლში მისულ პატარძალს უნდა მოექსოვა დაწყებული წინდა, რომელიც იქ დახვდებოდა – ეს ერთგვარი გამოცდა იყო.

ახალდაბადებულ გოგონას ხელს შეახებინებდნენ თითისტარს, ჯარატარს, მაკრატელს რომ ხელსაქმის სიყვარული დაჰბედებოდა.

ქვემო ნუკრიანში არიან ოჯახები, რომლებიც დიდი ხანია თუნუქისაგან ღუმელს ამზადებენ და ამ გამოცდილებას თაობიდან თაობას გადასცემენ (ბეროშვილები, ხმალაძეები, ოტიაშვილები).

სოფლის მკვიდრმა – ვაჟა დიერაშვილმა ტიკის დამზადების ხელოვნება მამისგან შეისწავლა.

ტიკს ციკნის ტყავისაგან ამზადებენ (ტყავი მარილისა და შაბის ნაზავით 21 დღის განმავლობაში გამოჰყავთ). ტყავს, დეზინფექციის მიზნით, ბალანს აჭრიან და კუპრს უსვამენ, შემდეგ გადმოაბრუნებენ, საიას გამოავლებენ, გაბერავენ და რამდენიმე დღით მზეზე ჰკიდებენ. ხარის ტყავისაგან მზადდება რუმბი, რომელიც 400-500 ლიტრ ღვინოს იტევს.

ზედაშე

კლასის დამრიგებელი

ზუსტად ვიცით, თითოეულ მოსწავლეს რომელ კომპონენტში რა დოზით უჭირს

ლეილა მეტრეველი

ნუკრიანის საჯარო სკოლა

* * *

ოცდაორი წელია, მასწავლებლად ვმუშაობ, დამრიგებლად – მესამე წელი. როდესაც ბიოლოგია ტრიმესტრულად ისწავლებოდა, სკოლაში ოთხი დღე მიწევდა მოსვლა, ამიტომ გადავწყვიტე სადამრიგებლო კლასიც ამეღო. ჩვენს სკოლაში (ვფიქრობ, სხვაგანაც) მაღალ კლასებში დასწრების პრობლემაა, უმეტესობა გამოცდებისთვის ემზადება. ამის მიზეზი კი, უპირველესად, ის არის, რომ სკოლისა და საგამოცდო პროგრამები არ შეესაბამება ერთმანეთს, სახელმძღვანელო სხვაგვარადაა აგებული და მოსწავლეები იძულებულნი არიან, მეთერთმეტე კლასიდანვე მოემზადონ რეპეტიტორთან. მაგალითად, უცხო ენებში, ბუნებრივია, არ ეყოფათ ერთი წლის მომზადება. ბავშვები მეექვსე-მეშვიდე გაკვეთილზე ხშირად ვეღარ ახარხებენ დასწრებას. თუკი ჩვენც არ გავუწიეთ შეღავათი, ასეთ შემთხვევაში ეძებენ სკოლებს, სადაც დისციპლინას ნაკლები ყურადღება ეთმობა, ამით სკოლა კარგავს კონტინგენტს. ბუნებრივია, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, მაგრამ თუკი ყველა სკოლის მოთხოვნა იქნება ერთი და იგივე, ანუ მოსწავლეს არ ექნება სხვა სკოლაში გაცდენების „საპატიოდ“ ჩათვლის ალტერნატივა, გაკვეთილს აღარ და ვეღარ გააცდენს.

* * *

ვცდილობ, მშობლებთან ვითანამშრომლოთ, ვინაიდან ჩვენ, ორივე მხარე – მასწავლებელიც და მშობელიც – ერთი და იმავე ინტერესს ვემსახურებით. პერიოდულად მაქვს მათთან საუბრები, ყოფილა შემთხვევა, როცა სახლშიც მივსულვარ. მშობელთა კრებებზე თავს ვარიდებ ბავშვების დახასიათებას, ამას უფრო ინდივიდუალური სახე აქვს, მათი შვილების შესახებ მშობლებს პირისპირ ვესაუბრები ხოლმე.

* * *

ამ სამი წლის განმავალობაში იყო შემთხვევები, როცა ჩემი როლი, როგორც დამრიგებელმა, ასე ვთქვათ, კარგად შევასრულე და პრობლემა მოვაგვარე. მოგეხსენებათ, მოზარდები, განსაკუთრებული თავისებურებებით სწორედ ამ ასაკში (ვგულისხმობ, უფროსკლასელებს) ხასიათდებიან. ბუნებრივია, არც ჩვენი აღსაზრდელები არიან გამონაკლისები. ჩვენც გვქონდა კლასში პრობლემა ერთი ვაჟის და გოგონას ურთიერთობაში. მათ ერთმანეთს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს – შეეხნენ ოჯახის წევრებსაც. ეს ერთ-ერთის მშობლის ყურამდე მივიდა, აღელვებული დედა სკოლაში მოვიდა. ვეცადე დამემშვიდებინა, მართალია, ეს ცოტა ძნელი გამოდგა, მაგრამ შევძელი. შემდეგ ბავშვებიც შერიგდნენ.

* * *

ხშირად ბავშვებს რომელიმე კონკრეტულ საგანში შექმნილი პრობლემის გამო მოუმართავთ. პედაგოგები არასოდეს ამბობენ უარს, დამატებით იმუშაონ ასეთ მოსწავლეებთან. უშუალოდ პედაგოგებისგან ყოველთვის ვიგებ ბავშვების წარმატების ან წარუმატებლობის შესახებ, არც ერთი დღე არ მინდა გამოვტოვო, რომ ისინი, ასე ვთქვათ, არ გადავამოწმო.

* * *

არ მინდა, ჩემი მოსწავლეების ზედმეტი ქება გამომივიდეს, მაგრამ ისინი მართლაც ძალიან ნიჭიერი, აქტიური და შემოქმედებითი ბავშვები არიან. გარდა საგაკვეთილო პროცესისა, ყოველწლიურად მონაწილეობენ კონფერენციებში, ოლიმპიადებში.

* * *

ოფიციალურად არ გვაქვს ბავშვების ჩანთების ჩხრეკის, შემოწმების უფლება, რაც არასწორად მიმაჩნია. ეს ნებადართული უნდა იყოს, რა თქმა უნდა, არა შეურაცხმყოფელი ფორმით. პრევენციის მიზნით, ეს უფლება უნდა დაიბრუნოს სკოლამ, ბევრ სახიფათო შემთხვევას ავიცილებდით თავიდან. ერთხელ მოსწავლეს გაკვეთილის მსვლელობისას ტელეფონი ჩამოვართვი. მერე მან ხელწერილი დამიწერა, რომ ტელეფონს გაკვეთილზე არასოდეს გამოიყენებდა. ამ ხელწერილს დღესაც ვინახავ.

* * *

ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ მათთვის სასურველ თემებზე, იშვიათად პოლიტიკაზეც. განსაკუთრებით ხშირად ვესაუბრები გოგონებს, ეს მათი მოთხოვნაა, თუმცა ბოლომდე ვერ იხსნებიან. ამ საქმეში ძალიან მეხმარება ფსიქოლოგი **ნატა ზაზაშვილი**, რომელიც პერიოდულად „კავკასიურ სახლს“ ჩამოჰყავს. გარდა საუბრებისა, ის გამოკვლევებსაც ატარებს, თუმცა ანალოგიურ გამოკვლევებს მეც ვატარებ. ვიკვლევ მოსწავლეების სოციალურ მდგომარეობას და სასწავლო უნარ-ჩვევებს; პასუხისმგებლობის გრძნობას, ერთმანეთთან ურთიერთობის უნარს, საგნების მიმართ ინტერესს, მოსმენის უნარს, როგორ რეაგირებს შენიშვნებზე, როგორ იმახსოვრებს ახალ მასალას.... ეს საშუალებას მაძლევს, საგნის პედაგოგთან ერთად, მთელი წლის განმავლობაში ვიმუშაო მოსწავლის ამა თუ იმ უნარის თუ თვისების გასაუმჯობესებლად, ამიტომ კვლევის შედეგებს ვაცნობ პედაგოგებს, რასაც საბოლოო შედეგზე გავყავართ. მართალი გითხართ, ამ ინიციატივას მასწავლებლები დადებითად შეხვდნენ და ითვალისწინებენ კიდეც საგაკვეთილო პრაქტიკაში. ბუნებრივია, შედეგი გვაქვს, თუმცა არა ერთბაშად, ნელ-ნელა.

* * *

ზოგადად, ჩვენს სკოლაში დისციპლინის პრობლემები ნაკლებადაა, ამიტომაც უფრო მეტი დრო გვრჩება, აქცენტი სასწავლო პროცესზე, ანუ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე გავამახვილოთ. ბუნებრივია, მეც მაქსიმალურად ვცდილობ დავეხმარო მათ, რათა მინდა ჩემი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეები ყოველმხრივ გამორჩეულები იყვნენ. რაკი ჩვენი სურვილები ერთმანეთს ემთხვევა, ეს იმას ნიშნავს, რომ ამას აუცილებლად შევძლებთ.

* * *

მოგეხსენებათ, ახალი შეფასების კრიტერიუმებით, მასწავლებლებს შეგვიძლია, მოსწავლე ოთხხუთ კომპონენტში შევაფასოთ – რა შეითვისა და როგორ მოიქცა. შეფასების ასეთი სისტემა საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ ყოველდღიურად საგაკვეთილო პროცესში, შემეცნებასთან ერთად, შეინარჩუნო დისციპლინა. ერთი მხრივ, მასწავლებლისთვის თითქოს გართულებულია მოსწავლის შეფასება, მეორე მხრივ, გაიოლებულია იმ თვალსაზრისით, რომ უკვე ზუსტად ვიცით, თითოეულ მოსწავლეს რომელ კომპონენტში რა დოზით უჭირს.

* * *

მეთერთმეტეკლასელები – ნინო, გვანცა, ტატო, ელენე, ნინო, ნუკი – დამრიგებლის შესახებ:

* * *

რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ მასწავლებელსა და დამრიგებელს შორის განსხვავებაა. მხოლოდ განსხვავება ჩვენდა სასარგებლოდ. ხშირად ჩვენს დამრიგებელთან ერთად ვწყვეტთ პრობლემებს. მართალი გითხრათ, არ მქონია რაიმე სერიოზული პრობლემა, თუმცა დარწუმნებული ვარ, ასეთ შემთხვევაში ლეილა მასწავლებელს აუცილებლად მივმართავ, რადგან ვიცი, რომ ის აუცილებლად გამიგებს და დამეხმარება მის მოგვარებაში.

* * *

თანაკლასელ ბიჭებთან ურთიერთობაში გოგონებს პრობლემა გვქონდა, მშობლებიც არ ჩარეულან, მოვაგვარეთ ლეილა მასწავლებელთან ერთად.

* * *

ჩვენი ურთიერთობა ინტენსიური, ყოველდღიურია. ხშირად ყოველ დასვენებაზეც კი გვინახულებს, გაკვეთილების შემდეგაც ვრჩებით ხოლმე ლეილა მასწავლებელთან.

* * *

დამრიგებელთან ბიჭებიც ხშირად მივდივართ ხოლმე. ვიცით, რომ ლეილა მასწავლებელი ჩვენს შეცდომებს გაგებით შეხვდება, დაგვარიგებს ხოლმე. ჩვენ მას დიდ პატივს ვცემთ. ძირითადად, ჩვენი პრობლემები გაკვეთილებიდან გაპარვას უკავშირდება. რაც მთავარია, მასთან გულახდილები ვართ. მართლა კარგი ურთიერთობა გვაქვს.

* * *

ჩვენი დამრიგებელი იმითაცაა გამორჩეული, რომ თანამედროვე მეთოდებით გვიტარებს გაკვეთლებს, მიგვაჩვია ჯგუფურ მუშაობას. მის ახსნილ გაკვეთილებს უკეთესად ვიგებთ ხოლმე.

რუბრიკა მოამზადეს
ანა ფირცხალაიშვილმა, ლალი ჯელაძემ

საგანმანათლებლო კერა

სიღნაღის პირველი სასწავლებელი

XVIII-XIX საუკუნეები მნიშვნელოვანი მოვლენებით ხასიათდება საქართველოს ცხოვრებაში. 1783 წლის ცნობილი „გეორგიევსკის ტრაქტატით“ და, მოგვიანებით, მეფე ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ, საქართველო, ფაქტობრივად, რუსეთის მმართველობის ქვეშ მოექცა. დაიწყო ცარიზმის პოლიტიკის გატარება, თუმცა, აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საომარი მდგომარეობა მშვიდობიანობამ შეცვალა, შეწყდა გარეშე მტრის შემოსევები და ქვეყანაში შესაძლებელი გახდა განათლების და კულტურის აღმავლობა.

რუსეთის სახელმწიფოს საგანმანათლებლო სისტემამ გარკვეული ღონისძიებები დასახა კავკასიაში განათლების გასაფართოებლად. ეს ღონისძიებები შეეხო სიღნაღის მაზრასაც, სადაც ერთ-ერთი პირველი და მოწინავე იყო **ბოდბის წმ. ნინოს მონასტერთან არსებული სკოლა**. აქ მუშაობდნენ მომზადებული, ნიჭიერი პედაგოგები. 1818 წელს გაიხსნა სასულიერო-სამრევლო სასწავლებელი, რომელსაც სინოდი ინახავდა. 1818-20 წლებში აქ სწავლობდა, ხოლო შემდგომ მუშაობდა ცნობილი ფილოსოფოსი **სოლომონ დოდაშვილი**. სასწავლებელმა 1835 წლამდე იარსება. 1897 წელს ბოდბის მონასტრის იღუმენიას, დედა იუვენალიას ინიციატივით სასწავლებელი საეკლესიო სკოლად გადაკეთდა. *„აქ სწავლა-დამთავრებულ ქალებს ნება ეძლოდათ სასოფლო სკოლის მასწავლებლის ადგილის დაჭერისა. აქ არამც თუ მარტო სწავლასა აქვს მიქცეული ყურადღება, არამედ ხელსაქმესაც... აქ ქართველს ენას თანაბრად ასწავლიან რუსულთან და ქართულს ისტორიასაც უკითხავენ,“* – წერდა გაზეთი „ივერია“ 1897 წლის №195-ში. ამ სასწავლებელში 70 ქალი სწავლობდა, რომელთაგან 58 ქართველი იყო. ყველანი მონასტრის ხარჯით სწავლობდნენ. მათი განათლების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღოდა წმ. ნინოს მონასტრის მთავარდიაკვან **იოსებ მენთეშაშვილსა** და სიღნაღის მაზრის და ზაქათალის ოლქის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურეს, მღვდელ **იოსებ მირიანაშვილს**. 1888 წელს მონასტერთან გაიხსნა ორკლასიანი ქალთა სასწავლებელი, რომელიც 1911 წელს გადაკეთდა საეკლესიო-სამასწავლებლო სკოლად, 1918 წელს კი – ქალთა საოსტატო სემინარიად. 1914 წელს გაცემული ატესტატით ვიგებთ, რომ ამ სკოლაში ისწავლებოდა: ღვთისმსახურება, საეკლესიო ისტორია, დიდაქტიკა, მუსიკა, სიმღერა, სლავიანური ენა, რუსული ენა-ლიტერატურა, რუსეთის ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა, ბუნება, ხაზვა, ჰიგიენა, ხელსაქმე და ქართული ენა. 1902 წლის 1 აპრილის საეკლესიო-სამასწავლებლო სკოლების საბჭოს 56-ე სტატიის საფუძველზე, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, საბჭო გასცემდა დაწყებითი სკოლების მასწავლებლის ატესტატს. სიღნაღის მუზეუმში ინახება რომანოვების დინასტიის 300-წლიანი იუბილის აღსანიშნავად გამოცემული სპეციალური ატესტატი, რომლის გვერდებზე 1613-1913 წლებში რუსეთის მეფეთა ფოტოებია დაბეჭდილი, ზემოთ კი, ორთავიანი არწივის ფონზე, გამოსახულია იმპერატორ ნიკოლოზ II-ის, მისი მეუღლისა და ქალიშვილის პორტრეტები. ატესტატი ეკუთვნის მართა გულიაშვილს.

1831 წელს სიღნაღში გაიხსნა სამაზრო სასწავლებელი. ეს პირველი საგანმანათლებლო დაწესებულება იყო, რომელსაც სახელმწიფო ხაზინა აფინანსებდა. მასში 60 მოსწავლე ირიცხებოდა, მათ შორის, დაბალი წოდების მოქალაქეთა შვილებიც.

1873 წელს, სექტემბრის თვეში, სიღნაღის მოწინავე საზოგადოებამ თხოვნით მიმართა კავკასიის ოლქის სასწავლებლების მზრუნველს, გაეხსნათ სიღნაღში პროგიმნაზია, რისთვისაც აღუთქვეს 1500 მანეთი წელიწადში ნატურით და ყოველ წლობით 400 თუმანი ნაღდ ფულად. მართლაც, 1876 წლიდან სიღნაღში ფუნქციონირებას იწყებს საქალაქო სკოლა. 1880 წლისათვის სიღნაღში იხსნება ერთკლასიანი სასწავლებელი, 3 მოსამზადებელი კლასით, შემდგომში სკოლა 4-კლასიანი გახდა, ხოლო მისი გამგე და მასწავლებელი გახლდათ **ალექსანდრე ჯავახიშვილი**, დიდი მეცნიერის, ივანე ჯავახიშვილის მამა.

საქალაქო სასწავლებელში რუსულად სწავლობდნენ. თუ ვინმე სხვა ენაზე დაილაპარაკებდა, მას დაფას ჰკიდებდნენ წარწერით: „მე რეგვენი ვარ“, რომელიც გადაეცემოდა იმას, ვინც ქართულად ან სომხურად დაილაპარაკებდა. 7-8 წლის ბავშვებს ასწავლიდნენ: რუსულს, გეომეტრიას, არითმეტიკას, გეოგრაფიას, ისტორიას, ხაზვას, სუფთა წერას და გიმნასტიკას.

ბოდბე, XX საუკუნის დასაწყისი

1900 წლისათვის სიღნაღის საქალაქო სკოლის უფროსი იყო **კ. ბაღაშვილი**, აქვე ასწავლიდა დეკანოზი მამა **სვიმონ ბეგიაშვილი**, რომელმაც სამკითხველოს უსასყიდლოდ დაუთმო საკუთარი სახლი.

1902 წლის საქალაქო სასწავლებლის №205 ატესტატით ვიგებთ, რომ ამ დროს ისწავლებოდა: საღვთო სჯული, რუსული და სასულიერო სლავიანური ენა, არითმეტიკა, გეომეტრია, სუფთა წერა, ხაზვა, ხატვა, სიმღერა, გიმნასტიკა.

1913 წლიდან იხსნება 6-კლასიანი ვაჟთა სამოქალაქო სასწავლებელი, სადაც 300 მოსწავლიდან 200 ქართველი იყო. ამ სასწავლებელში სწავლობდნენ ქიზიყის სასიქადულო მამულიშვილები: **იროდიონ ევდოშვილი, ავლიპ ზურაბაშვილი, ალექსანდრე გზირიშვილი, შალვა გოზალიშვილი**.

სამოქალაქო სასწავლებელი კურსდამთავრებულს ანიჭებდა I კლასის ხარისხის მიღების უფლებას. კურსდამთავრებულებს ატესტატებს საზეიმო ვითარებაში გადასცემდნენ, ეწყობოდა კონცერტები. 900-იან წლებში მოსწავლეთა შორის გამოირჩეოდა **ავლიპ ზურაბაშვილი**, რომელიც კარგად უკრავდა კონცერტებზე.

1917 წელს მოწინავე მასწავლებლების: თ. ბეგიაშვილის, დ. ბარნაბიშვილის, ლ. ხუციშვილის ინიციატივით გაიხსნა გიმნაზია. შეგროვილი შემოწირულობებით გამოიწერეს წიგნები და კონსპექტები. ისწავლებოდა სამი უცხო ენა: ლათინური, ფრანგული და გერმანული.

გიმნაზიის პირველი გამოშვება იყო 1921 წელს. იგი დაამთავრა 9 კაცმა, მეორე წელს კი – 6-მა, მათ შორის: **ალექსანდრე გოცირიძემ, სტეფანე ფურცელაძემ, ალექსანდრე ხოსიტაშვილმა, თამარ ბოსტაშვილმა, მელანია მამაიაშვილმა, მარგარიტა ვარვარიძემ.**

XIX ს-ის შუა ხანებიდან ყურადღება გამახვილდა ქალთა სწავლა-განათლებაზე. გაიხსნა 2-3-წლიანი ქალთა დაწყებითი ტიპის სკოლები. გარკვეულ სამსახურს ეწეოდა ე.წ. „საშინაო სკოლები“, რომლებიც კერძო პირების ინიციატივით იყო გახსნილი. 1873 წელს გაზეთი „დროება“ წერდა: *„...ჩრდილოეთ სიღნაღში არის „საქალებო“ შკოლა, ეს შკოლა 5-6 თვეა, რაც ღირს საცნობელ ეკატერინე ჭრელაევისას გაუხსნია. შკოლაში 24 ქალამდის სწავლობენ, ქართველნი და სომეხნი. იმ მოკლე ხანში ბევრი მოუსწრია ჭრელაევისას. ქალებმა იციან ქართული და რუსული ლაპარაკიც. სომხებმა ამაების გარდა სომხური წერაკითხვაც იციან. სომხურს ასწავლის მოწვეული ჭრელაევისგნით უ. არტემ ტერ ახტვაწარუტინიანცი, რომელიც, როგორც ეტყობა, კარგათ არის დახელოვნებული ამ საქმეში. ესევ ასწავლის ქალებს სომხურ ენაზე სიმღერას; ჭრელაევისა ასწავლის აგრეთვე ხელსაქმეს და ტანცსაც... ეს ახლათ გახსნილი საქალებო შკოლა ბევრს თფილისის ქალების პანსიონს არ ჩამოუვარდება თავისი შინაარსით.“*

1900 წლის 31 ივლისს სამოქალაქო 3-კლასიანი სასწავლებელი გადააკეთეს და უწოდეს „მარინის“ ქალთა სასწავლებელი. აქ იყო 4 კლასი და 2 განყოფილება. *„მასში სწავლობდა 145 მოსწავლე, რომელთაგან 100-მდე ქართველი იყო. სწავლება კი, ძირითადად, რუსულ ენაზე სწარმოებდა. ეს სასწავლებელი, რომელიც მარინის ქალთა სკოლის სახელს ატარებდა, 1912 წელს გადაკეთდა პროგიმნაზიად და 1917 წლამდე მოაღწია.“* (*„Об открытии в г. Сигна. е Маринского учф илища. Доклад К. Багаева. м.ъ.п.ф. 4mmпй. Iu1 m7m*)

სიღნაღელი **მართა გულიაშვილის** მოგონებით, მარინის სკოლის ზედამხედველი იყო **ელისაბედ ტურსკაია**, საღვთო რჯულს ასწავლიდნენ: **მიხეილ ბენაევი**, (ბენაშვილი) და **არშაკ ტერ-სტეფანოვი**. მასწავლებლები იყვნენ: **მარიამ** და **ანა კახანოვები, ბაიგოზი, ს. კალაიტანი, გ. გალპასკი, პ.კოსოლაპი, მ. პონოჩეკნი, თ. პოლტიტაცკი, ვ. რიჩკინი, ს. იანჩენკო, ოლგა** და **ლიდა იაზიკოვები, ო. კლოჩოვა**. შემდგომში აქ მოღვაწეობდნენ ქართველი პედაგოგებიც: **ე.ს. ვაჩნაძისა, მ.ი. ბაქრაძისა, ზ.ა. კანკოვისა**. 1913 წელს ქალთა სკოლის გამგე იყო **ანნა ნიკოლოზის ასული ყაზახიშვილისა**. ამ წელს სკოლა დაამთავრა 14-მა ქალმა, ამათგან 7 ქართველი იყო.

სასწავლებელში სწავლების ვადა იყო 6 წელი. ისწავლებოდა: ისტორია, გეოგრაფია, სუფთა წერა, სიმღერა, რუსული და ფრანგული ენები, რუსული სიტყვიერება, ბუნებისმეტყველება, მათემატიკა, გიმნასტიკა, ცეკვა, ხელსაქმე. ამ სასწავლებლის აღზრდილები: თამარ ლაშქარაშვილი, სონია გომელაური, ანა თათუხიშვილი, ეკატერინე ასათიანი (ფსიქიატრიის ინსტიტუტის დამაარსებელ მიხეილ ასათიანის დედა), ელენე ანდრონიკაშვილი შემდგომში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ.

უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა განათლების ისტორიაში გახლავთ სიღნაღში პედაგოგიური სასწავლებლის გახსნა. 1923 წელს გაზეთი „სიმართლე“ წერდა: *„1923 წლის 1 დეკემბრიდან სიღნაღში გაიხსნა პედაგოგიური ტექნიკუმი. ამ ტექნიკუმის მიზანია მოამზადოს მასწავლებლები შვიდწლიან შრომის სკოლისთვის.“* 1957 წელს პედასწავლებელი დაიხურა.

სიღნაღში არსებული სასწავლებლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ მიმდინარე მოვლენებში, აწყობდნენ საღამოებს, შეხვედრებს, ხოლო 1920 წლის 15 თებერვალს, ვაჟთა სამოქალაქო გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებლის, **მიხაკო ნასიძის** ინიციატივით, გამოვიდა გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალი „იმედი“. მასში იწერებოდა ლექსები, მოთხრობები, სტატიები და წერილები – ისტორიიდან, ბუნებისმეტყველებიდან და სხვ. ჟურნალში თანამშრომლობდნენ: **ალექსანდრე გზირიშვილი, თამარ ბოსტაშვილი, ს. გოზალიშვილი**. ჟურნალი გამოდიოდა შეწირულობების საშუალებით, 100-ცალიანი ტირაჟით. მძიმე მატერიალური პირობების გამო მისი გამოცემა შეწყდა.

სიღნაღის საშუალო სკოლის გახსნა დაკავშირებულია 1917 წლის რევოლუციის ხანასთან. ამ მიმართებით დიდი მუშაობა გასწიეს: პროფესორმა **თედო ბეგიაშვილმა**, სტუდენტმა **დიმიტრი ბარნაბიშვილმა, ელენე ბერძენიშვილმა, ნიკოლოზ ყაზბეგმა**. 1925 წელს სკოლა გადაკეთდა 9-წლედად, 1928 წელს – ათწლედად. საწარმოო სწავლების შემდეგ, 1947 წლიდან იყო 11-წლიანი სწავლება. 1969-70 წლებში გაიხსნა მოსამზადებელი ჯგუფი.

დღეს სიღნაღის საჯარო სკოლაში 234 ბავშვი სწავლობს. სკოლას 2002 წელს მიენიჭა აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილის სახელი და გაიხსნა მისი სასკოლო მუზეუმი. 2000 წელს სკოლას გადაეცა კომპიუტერული ტექნიკა.

გარდა აღნიშნულისა, ადრეულ პერიოდში, სიღნაღში იყო არასრული სომხური სკოლა (ახლანდელი რუსთაველის ქუჩაზე), რომელმაც 1939 წლამდე იარსება, შემდეგ კი გადაკეთდა ქართულად, რადგან სომხურენოვანი ბავშვების რაოდენობა ძალიან მცირე იყო. არსებობდა, ასევე, რუსული სკოლა (ახლანდელი აღმაშენებლის ქუჩაზე), სამედიცინო სასწავლებელი, რომლის დირექტორი იყო გ. დარჩიაშვილი.

1950 წელს დაარსდა და დღემდე ფუნქციონირებს სამუსიკო სკოლა. იგი პირველად მდებარეობდა ახლანდელი კოსტავას ქუჩაზე. მისი პირველი დირექტორი გახლდათ **ტასიკო ცაბაძე**, პედაგოგი – ლენინგრადის ბლოკადაგამოვლილი პიანისტი **სვეტოზარ (გულია) გრიგორიევი**, ბრწყინვალე ადამიანი და სიღნაღის დიდად მოყვარული. სკოლაში ისწავლებოდა ფორტეპიანო, შემდეგ – ვიოლინო. 1968 წელს სკოლას მიენიჭა ვანო სარაჯიშვილის სახელი, ახალ შენობაში გადავიდა, გაფართოვდა. აქ ისწავლებოდა: ფორტეპიანო, ვიოლინო, ფლეიტა, სოლფეჯიო, სიმღერა, მუსლიტერატურა. სკოლის დირექტორები იყვნენ: **გაიოზ ბერიძე, თინათინ ნაცვლიშვილი, ქეთევან რაიბული**. სკოლის პირველი გამოშვების მოსწავლეები – **მერი ზურაშვილი** და **ლია ბერეშვილი** – შემდგომში აქვე ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

1966 წელს სიღნაღში გაიხსნა სამუსიკო სასწავლებელი. მისი პირველი დირექტორი გახლდათ კომპოზიტორი **აკაკი ანდრიაშვილი**. შემდგომ წლებში: **ლევან კასრაძე, როლანდ ბაზერაშვილი**, 1980 წლიდან – **გიორგი კრაწაშვილი**, 1985 წლიდან – **თინათინ ნაცვლიშვილი**. სასწავლებელში იყო: საფორტეპიანო, საგუნდო- სადირიჟორო, ვოკალური, სიმებიანი, ჩასაბერი ინსტრუმენტების ფაკულტეტები. ვოკალის მასწავლებელი იყო ოპერის მომღერალი **ანზორ შომახია**, ფორტეპიანოსი – **რევაზ ტაბიძე**, (შემდგომში სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი); 1987 წელს სასწავლებელი, ფაქტობრივად, დაიხურა, მიღება არ ყოფილა, 1990 წლისათვის იყო მხოლოდ IV კურსი და მხოლოდ ეროვნული მოძრაობის დახმარებით აღდგა, როგორც კულტურის სასწავლებელი, შემდგომში – ხელოვნების სასწავლებელი. უკანასკნელ წლებში მას დაემატა თეატრალური და სახვითი ხელოვნების სპეციალობები.

1995 წლის 16 ივნისის საქართველოს მთავრობის № 358 დადგენილებით, სასწავლებელს მიენიჭა **თემურ მათურელის** სახელი. თემურ მათურელი წარმოშობით სიღნაღიდან იყო, კონსერვატორიის პროფესორი, მოღვაწეობდა ჰოლანდიაში, სადაც სცენაზე, კონცერტის მსვლელობისას გარდაიცვალა.

1995 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით, გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის (კახეთის) ფილიალი, რომელიც უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო არა მარტო რაიონის, არამედ კახეთის რეგიონის განათლების ისტორიაში. დღეს იგი განთავსებულია ქ. წნორში, ფუნქციონირებს 5 ძირითადი ფაკულტეტი: იურიდიული, ეკონომიკისა და კომერციის, პედაგოგიკის, საბუნებისმეტყველო (მათემატიკა, ბიოლოგია), სიბრძნისმეტყველების (ისტორია, ფილოლოგია, ჟურნალისტიკა, უცხო ენები) და მეორადი – ხელოვნების ფაკულტეტი გამოყენებითი ხელოვნებისა და თეატრალური სპეციალობებით. უნივერსიტეტში მუშაობს 4 სამეცნიერო ცენტრი, 50-მდე პროფესორ-მასწავლებელი, 50-მდე ასისტენტი, ასპირანტი, მაძიებელი. აქვს საკუთარი გაზეთი, უნივერსიტეტს დაარსებიდან დღემდე ხელმძღვანელობს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი **გაიოზ ნადირაშვილი**. უკანასკნელ ხანს, ფრანგი მეგობრების დახმარებით, გაიხსნა ფრანკოფონიის კაბინეტი და კომპიუტერული ცენტრი.

მარიამ გულიაშვილი
საქართველოს ეროვნული მუზეუმის
სიღნაღის ფილიალის
ისტორიულ-ეთნოგრაფიული
ფონდის ასისტენტი

სკოლის ფსიქოლოგთა დასახმარებლად

ძალადობა სკოლაში

რუბრიკას უძღვება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ფსიქოლოგი ქეთევან თავართქილაძე

ბავშვთა მიმართ ძალადობის თემაზე გაეროს გენერალური მდივნის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით, 14 წლამდე ასაკის ბავშვების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის შემთხვევათა უმრავლესობა განხორციელებულია სახლში, – მშობლების, ოჯახის წევრებისა და აღმზრდელების მიერ. კვლევაში ასევე მოყვანილია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემები, რომლის თანახმად, მთელ მსოფლიოში 18 წლამდე ასაკის ბავშვთა შორის სექსუალური ძალადობის მსხვერპლია 73 მლნ ბიჭი და 150 მლნ გოგონა.

ძალადობის აღნიშნულ კვლევაში მოყვანილია შემდეგი **სტატისტიკური მონაცემები:**

– მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით, 2002 წელს მთელ მსოფლიოში მოკლული იქნა 53 000 ბავშვი.

– ძალიან ბევრ ქვეყანაში განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სასკოლო ასაკის ბავშვების 20-65%-ის ჩვენებით, მათ მიმართ ადგილი ჰქონდა დაშინებას, როგორც სიტყვიერს, ისე ფიზიკურს.

– მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, 2002 წლის განმავლობაში 18 წლამდე ასაკის 150 მილიონ გოგონას და 73 მილიონ ბიჭს აიძულებდნენ დაემყარებინათ სქესობრივი კავშირი ან სხვა ფორმით ახორციელებდნენ მათ მიმართ სექსუალურ ძალადობას.

– შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) შეფასებით, 2004 წელს 218 მილიონი ბავშვი იყო ჩაბმული შრომაში, აქედან 126 მილიონი ასრულებდა სახიფათო სამუშაოს. მისივე მონაცემებით 5-7 მილიონი ბავშვი იძულებით ასრულებდა სამუშაოს (იძულებითი და სავალდებულო შრომა) და 1.8 მილიონი ბავშვი ჩაბმული იყო პროსტიტუციაში და პორნოგრაფიაში, ხოლო 1.2 მილიონი ბავშვი იყო ტრეფიკინგის მსხვერპლი.

ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემა დიდი ხნის განმავლობაში დამალული იყო. ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დახმარება, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ სამედიცინო (სამკურნალო) დახმარებით შემოიფარგლებოდა. უკანასკნელ წლებში საზოგადოება ამ პრობლემის შესახებ აქტიურად ალაპარაკდა. დღეს დასამალი აღარაა, რომ ბავშვების დიდი რაოდენობა ძალადობის მსხვერპლია ხშირად სწორედ იმ ადამიანების მხრიდან, რომლებმაც ისინი უნდა დაიცვან.

2007 წელს UNICEF-ის მიერ საქართველოში ჩატარდა ბავშვთა მიმართ ძალადობის გავრცელების ეროვნული კვლევა. კვლევის ჯგუფის (საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი, პარტნიორი ორგანიზაცია BCG) მიერ გამოკვლეულ იქნა ბავშვთა მიმართ ძალადობის მასშტაბი ოჯახში, ინსტიტუციასა და სკოლაში, ძალადობის გავრცელებული ფორმები, ძალადობის პრევენციისთვის საჭირო რეაგირების მასშტაბები.

კვლევის შედეგების მიხედვით, ბავშვთა მიმართ ძალადობა და უგულებელყოფა გავრცელებულია საქართველოში; ბავშვთა მიმართ ძალადობა გვხვდება როგორც ოჯახში, ასევე სასწავლო და აღმზრდელობით დაწესებულებაში; ბავშვები ძალადობას განიცდიან როგორც მოზრდილისაგან, ასევე თანატოლებისაგან.

საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის გავრცელების მასშტაბები ასეთია:

ოჯახში

- ფიზიკური ძალადობა (ყურის აწევა/თმის მოქაჩვა, ხელით ცემა, ხელის/ფეხის კვრა) – 54%;
- ფსიქოლოგიური ძალადობა (დაყვირება, განზრახ დამცირება, სხვა ბავშვისგან დაჩაგვრა, დათრგუნვა/შერცხვენა) – 59.1%;
- სექსუალური ძალადობა (სექსუალური საუბარი, პორნოგრაფიის ჩვენება, სექსუალური შეხება, სექსუალური ურთიერთობის მცდელობა) – 7.8%.

ინსტიტუციაში

- ფიზიკური ძალადობა – 71.1%;
- ფსიქოლოგიური ძალადობა – 61.5%;
- სექსუალური ძალადობა – 16.6%.

სკოლაში

- ფიზიკური ძალადობა – 47%;
- ფსიქოლოგიური ძალადობა – 47.5%;
- სექსუალური ძალადობა – 5.6%.

ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ძალადობის დასახელებული გამოვლინებები ძალადობის „მსუბუქი“ ფორმებია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძალადობის ნებისმერი გამოვლინება ზიანს აყენებს ბავშვს და ხელს უშლის მის ნორმალურ განვითარებას. ამდენად, ძალადობა ბავშვების მიმართ პრობლემატურია ჩვენს ქვეყანაში, მოითხოვს ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას.

სკოლაში ძალადობის სახეები

– ***ფიზიკური ძალადობა მასწავლებლების მიერ:***

მასწავლებელმა ბავშვს ან ახალგაზრდას დასჯის მიზნით შეიძლება სცემოს, მაგალითად, მაშინ, როდესაც ის კარგად ვერ ასრულებს სამუშაოს.

– სასტიკი მოპყრობა და დაცინვა მასწავლებლის მიერ:

მასწავლებელმა შეიძლება დაუყვიროს მოსწავლეს ან უწოდოს მას დამამცირებელი სახელები.

– ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა სხვა მოსწავლეების მხრიდან:

მოსწავლემ შეიძლება სცემოს ან დააშინოს სხვა ბავშვი.

– სექსუალური და გენდერული ძალადობა:

გოგონას შეიძლება მიაყენონ სიტყვიერი შეურაცხყოფა, დასცინონ, ან გააუპატიურონ სკოლაში, ან სკოლისაკენ მიმავალ გზაზე.

– დაჯგუფებების მიერ განხორციელებული ძალადობა: ზოგიერთ სკოლაში ბავშვები გაერთიანებულნი არიან დაჯგუფებებში, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან.

– ბულინგი – მოსწავლეთა ჯგუფის მიერ ბავშვის დევნა, შევიწროება, გარიყვა, დატერორება.

კონფლიქტები მასწავლებლებთან

სკოლაში კონფლიქტის მიზეზი შეიძლება გახდეს აქსელერაცია (ბავშვების ფიზიკური განვითარებისა და ზრდის დაჩქარება, წინა თაობებთან შედარებით), რადგან ამ დროს არა იმდენად ჩქარდება ორგანიზმის ზოგადი მომწიფება, რამდენადაც ძლიერდება მისი დისჰარმონია სოციალურ მომწიფებასთან და ღრმავდება მოზარდობის კრიზისის მიმდინარეობა. ეს აძნელებს ბავშვების სწორ აღზრდას. პედაგოგებისთვის სულ უფრო ძნელი ხდება მოსწავლეების შინაგანი მდგომარეობისა და მოთხოვნილებების გაგება, მათთან ურთიერთობა, მათი ხელმძღვანელობა. ამიტომ თავს იჩენს კონფლიქტები.

მოსწავლეებისადმი ძალიან მკაცრი ან ძალიან ლოიალური დამოკიდებულება იწვევს პროტესტის რეაქციას, რადგანაც მოზარდობის ასაკში ბავშვები მასწავლებელში, პირველ რიგში, ადამიანურ თვისებებს აფასებენ. მასწავლებელს უნდა ესმოდეს თავისი მოსწავლეების, პატივისცემით ეპყრობოდეს მათ, უნდა შეეძლოს მათი აყოლიება და ა.შ.

ასევე იცვლება სწავლისადმი დამოკიდებულება. სწავლა აღიქმება, როგორც „დიდების“ ცხოვრებისთვის მომზადება. ამიტომ მასწავლებელმა (ინფორმაციის მთავარმა წყარომ), მოსწავლეთა აზრით, გასაგებად, მისაწვდომად უნდა ახსნას მასალა. ამ მხრივ, ასევე მოსალოდნელია წინააღმდეგობების გაჩენა.

მშობლის მსგავსად, მასწავლებელი მოზარდის ცნობიერებაში არის ძალაუფლების მქონე პირი, რომელსაც შეუძლია დასჯა და შექება; ის გარკვეულ სფეროში ცოდნის ავტორიტეტული წყაროა. მასწავლებელი ამავე დროს მეგობარი, ამხანაგი უნდა იყოს.

მოსწავლეების აზრით, იდეალური მასწავლებელი არის ის, რომელსაც აქვს:

1. გაგების, თანაგრძნობის უნარი, გულითადობა, ანუ მასწავლებელში უნდათ დაინახონ უფროსი მეგობარი;
2. პროფესიული კომპეტენტურობა, სათანადო ცოდნის დონე და ამ ცოდნის გადაცემის უნარი;
3. მისთვის მინიჭებული უფლების სამართლიანად გამოყენების უნარი.

ბუნებრივია, რომ ერთ პიროვნებაში ყველა ამ თვისების თავმოყრა არცთუ ხშირად ხდება. ამიტომაც წამოიჭრება კონფლიქტები.

როგორც ფსიქოლოგებმა დაადგინეს, 13-18 წლის ასაკში ამგვარი კონფლიქტები გარდაუვალი და ნორმალურია. მთავარია, ეს კონფლიქტები არ გადაიზარდოს „ომებში“, „რევოლუციებში“ და მოხდეს მათი სწორად შეფასება.

ყველაზე გავრცელებული კონფლიქტები:

დაუმორჩილებლობის კონფლიქტი. მოზარდი უარს ამბობს ამა თუ იმ მოთხოვნის შესრულებაზე. ხშირად ასე ის მოზარდებიც იქცევიან, რომლებსაც წინა წლებში არ ჰქონდათ ასეთი რეაქცია. პროტესტი შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერად ან საქციელით. როგორც ჩანს, ეს დაკავშირებულია საკუთარი აზრის დაცვის სურვილთან, თუნდაც ზოგჯერ შეუფერებელი ფორმით.

ერთიანობის კონფლიქტი. მოზარდი ისე იქცევა, როგორც ეს თანატოლთა წრეშია მიღებული. თვითონ შეიძლება ასე არ მოქცეულიყო, რომ არა იმის შიში, არ გამოჩნდეს თანატოლთა თვალში „სუსტად“, „დედიკოს ბიჭად“, „შკოლნიკად“.

ლიდერობის კონფლიქტი. მოზარდი მასწავლებელს უყურებს, როგორც კონკურენტს კლასში. ის ცდილობს, არ დაკარგოს ავტორიტეტი.

ანტიპათიის კონფლიქტი. ჩნდება მაშინ, როცა მასწავლებელს უპატივცემულოდ ექცევიან. იციან, რომ შესაძლებელია წონასწორობა დაკარგვინონ. სპეციალურად აწყობენ ისეთ სიტუაციებს, რომ მასწავლებელმა მოთმინება დაკარგოს.

მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ, რომ 13-18 წლის ასაკში მოზარდები შეიძლება ამგვარად მოიქცნენ და უნდა შეძლონ სწორი გადაწყვეტილების მიღება. ამაში მათ უნდა დაეხმაროს სკოლის ფსიქოლოგი და ასევე მეთოდური ლიტერატურა.

მასწავლებელთან ბავშვის კონფლიქტის შემთხვევაში:

არ გალანძღოთ ბავშვი. გაიგეთ, რაშია საქმე;

არასოდეს იმსჯელოთ ბავშვთან მასწავლებლის ნაკლოვანებებზე. უმჯობესია აუხსნათ, რა ძნელია მასწავლებლობა და ამით მიუთითოთ იმაზე, რომ მასწავლებელი ჩვეულებრივი ადამიანია, შეიძლება დაიღალოს, გაღიზიანდეს;

პრეტენზიის გარეშე ესაუბრეთ მასწავლებელს. შეეცადეთ ერთობლივად იპოვოთ გამოსავალი. ნუ მიუშვებთ სიტუაციას. ნუ დაელოდებით, როდის მოედება კონფლიქტის ალი სკოლის ადმინისტრაციას. შეეცადეთ სიტუაცია დასაწყისშივე მოაგვაროთ.

პედაგოგი /აღმზრდელი და ბავშვებს შორის დამოკიდებულება

პირად ურთიერთობათა სისტემაში ბავშვის მდგომარეობისა და ამ მდგომარეობის განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ მონაცემები დაგეხმარებათ ბავშვთა ჯგუფში ნორმალური ურთიერთობების დასამყარებლად. რა თქმა უნდა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომა. ამიტომ, ამ მხრივ, რაიმე სტანდარტული რეცეპტის მოწოდება შეუძლებელია. თუმცა შეიძლება დაისახოს ზოგადი მიმართულება ჯგუფში იზოლირებული ბავშვის ურთიერთობათა ნორმალიზაციისათვის.

იზოლაციის ფაქტის გამოვლენით პირველი ნაბიჯი, ფაქტობრივად, უკვე გადადგმულია. მეორე ეტაპია ბავშვის გარიყულობის მიზეზების შესწავლა. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, გააანალიზოთ საკუთარი დამოკიდებულება ამ ბავშვის მიმართ. ხშირად აღმზრდელები, უნებურად, თავიანთი დამოკიდებულებით აუარესებენ ბავშვის მდგომარეობას. ცნობილია, რომ აღმზრდელის დამოკიდებულება ბავშვებისადმი გავლენას ახდენს ბავშვების ერთმანეთისადმი დამოკიდებულებაზე. ზოგჯერ აღმზრდელი დაუფიქრებელი შენიშვნებითა და შეფასებებით უნებლიედ იწვევს ამა თუ იმ ბავშვის მიმართ არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებას. დაუშვებელია შენიშვნები, რომლებიც აღსაზრდელის პიროვნებას ეხება: „შენ საერთოდ ზარმაცი ხარ“, „შენ ყოველთვის ყველას უშლი“. დაუშვებელია მთელი ჯგუფის მისამართით გაცემული განკარგულებები: „არ იმეგობროთ ნიკასთან“ და სხვ.

ბავშვის მდგომარეობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს არა მარტო ამ ტიპის შენიშვნები, არამედ ზედმეტი შექებაც, განსაკუთრებით მაშინ, თუ შექებისას ხდება სხვა ბავშვთან შედარება: „აი, რა კარგი ბიჭია ირაკლი, შენ კი არ გგავს“. ამგვარი შედარებებისა და დაპირისპირების შედეგად ობიექტურად მართლაც კარგი ბავშვები ფსიქოლოგიურ იზოლაციაში იმყოფებიან.

პედაგოგი/აღმზრდელი უნდა შეეცადოს ნაკლებკონტაქტური ბავშვის დამეგობრებას ჯგუფთან. ამისათვის რამდენიმე გზა არსებობს:

1) ჩართეთ ბავშვი საინტერესო საქმიანობაში;

2) დაეხმარეთ ბავშვს წარმატებას მიაღწიოს იმ საქმიანობაში, რომელზეც ყველაზე მეტად არის დამოკიდებული მისი მდგომარეობა;

3) შეეცადეთ, დაძლიოთ აფექტურობა (აგრესიულობა, გაღიზიანება, ბუტიაობა), რაც ხშირად არის ფსიქოლოგიური იზოლაციის მიზეზი (რა თქმა უნდა, შედეგიც);

4) მორცხვ, გაუბედავ ბავშვს დაეხმარეთ სიმორცხვის დაძლევაში, თავდაჯერებულობის გამომუშავებაში (კარგი შედეგის მიღწევა შეიძლება სხვადასხვა ირიბი ხერხითაც. მაგალითად, ზოგჯერ სასარგებლოა, რომ გარიყული ბავშვის მხარდაჭერა გამოხატონ ავტორიტეტულმა თანატოლებმა).

ყველაზე მთავარია თქვენსა და ბავშვს შორის კონტაქტის დამყარების უნარი. ბავშმა უნდა დაინახოს, რომ მის მიმართ ყურადღებიანი ხართ, კარგად ექცევით. ძალზე მნიშვნელოვანია ჯგუფში მეგობრული და გულწრფელი ურთიერთდახმარების ატმოსფეროს შექმნა.

იმისათვის, რომ იზოლირებულ ბავშვს დაეხმაროთ წარმატების მიღწევაში, ზოგჯერ აუცილებელია ისეთი სიტუაციის ხელოვნურად შექმნა, რომელშიც შეძლებს თავისი ღირსებების წარმოჩენას, თანატოლთა ყურადღების მიპყრობას.

პედაგოგი/აღმზრდელი, პირდაპირ და ირიბადაც, არსებით გავლენას ახდენს ბავშვებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ეს ეხება არა მარტო უმცროსი ასაკის ბავშვებს, არამედ მოზარდებსაც. მაგალითად, თუ თქვენ მეგობრული, თბილი დამოკიდებულება გაქვთ თითოეულ ბავშვთან, ყოველ მათგანს ეხმარებით სიძნელეების დაძლევაში, ბავშვებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაც თბილი და მეგობრული იქნება, ნაკლები იქნება მათ შორის კონფლიქტები, გაიზრდება აქტივობა, ინიციატივა და სხვა.

შეიძლება გამოიყოს პედაგოგის/აღმზრდელის ჯგუფთან ურთიერთდამოკიდებულების შემდეგი სტილები:

1) **აქტიურ-დადებითი** – ბავშვებთან მეგობრულია, ეხმარება სიძნელეების დაძლევაში, ხელს უწყობს ბავშვების აქტივობას, ინიციატივას;

2) **პასიურ-დადებითი** – ზოგადი დადებითი ემოციური დამოკიდებულების ფონზე გარეგნულად თავშეკავებულია და ურთიერთობებში სიცივეს ამჟღავნებს;

3) **სიტუაციური** – ზოგადი დადებითი დამოკიდებულების ფონზე გარეგნულად ხან „ლიბერალია“, ხან – „დიქტატორი”;

4) **აქტიურ-უარყოფითი** – მკაცრია, მომთხოვნი, ბავშვების სიძნელეებს ნაკლებად ითვალისწინებს;

5) **პასიურ-უარყოფითი** – ახასიათებს ფორმალიზმი ან ზედმეტი ლიბერალიზმი, რომლის უკან ბავშვების მიმართ გულგრილობა იმალება.

ზოგჯერ ხელმძღვანელობის ორ ისეთ ურთიერთსაპირისპირო სტილს, როგორიცაა დიქტატორობა და ლიბერალიზმი, ერთი და იგივე ფსიქოლოგიური საფუძველი აქვთ – ადამიანებისადმი და თავისი საქმისადმი ნეგატიური დამოკიდებულება.

ზოგ შემთხვევებში, საჭიროა ბავშვს გააცნოთ მისი მდგომარეობა პირად ურთიერთობათა სისტემაში. ოღონდ ეს ძალიან ფრთხილად, ბავშვისთვის მისაწვდომი ფორმით და აუცილებლად ბავშვთან პირისპირ საუბარში უნდა გაკეთდეს. ზემოქმედების ამგვარი ზომა ზოგჯერ სასარგებლოა, მიუხედავად ბავშვის ტრავმირების საფრთხისა. სანამ ამგვარ რისკზე წახვალთ, მკაფიოდ უნდა გააცნობიეროთ, რომ ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტულ პირობაზე, ბავშვის პიროვნულ თავისებურებებზე, თქვენ შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთდამოკიდებულებაზე.

ვინაიდან პედაგოგიური ურთიერთობის სტილი უდიდეს გავლენას ახდენს ბავშვების ურთიერთდამოკიდებულებაზე, აუცილებელია სისტემატურად მოახდინოთ პროფესიული თვითანალიზი და შემდგომი პროფესიული თვითაღზრდა. თუ თქვენს საფუძვლიან თეორიულ და მეთოდურ მომზადებას თქვენი საგნის სფეროში თან არ ახლავს სოციალურ-ფსიქოლოგიური ცოდნა და კომუნიკაბელობა, თქვენს საქმიანობაში მაღალ შედეგებს ვერ მიაღწევთ.

ფსიქოლოგიაში შემუშავებული ჯგუფისშიგა პიროვნებათშორისი ურთიერთობების დიაგნოსტიკური მეთოდები (სოციომეტრიული მეთოდები) სანდო ინფორმაციას იძლევა ჯგუფის სტრუქტურის, დინამიკის, ღირებულებების შესახებ. მათი გამოყენებით თქვენ მთელ რიგ ინდივიდუალურ და ჯგუფურ მაჩვენებლებს მიიღებთ – ბავშვების პერსონალური სტატუსი, სასურველი და მნიშვნელოვანი ურთიერთობების წრე, ჯგუფისშიგა დიფერენციაციის მონაცემები, ლიდერობა და ა.შ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

საუბრები ბიბლიაზე

შესაქმის პირველი დღე

ღვთის სიყვარულის ცოდნით გამყარება

მეცნიერულ მიღწევებს ზღვარი არ აქვს: ის, რაც გუშინ სიახლე იყო, დღეს შეიძლება უიმედოდ მოძველდეს. შესაბამისად ნათელია, რომ მეცნიერება ვერასოდეს იტყვის თავის „საბოლოო სიტყვას“, მისი არსებობის აზრი მუდმივ განვითარებასა და მიღწეულის სრულყოფაშია.

სხვა მდგომარეობაა რელიგიურ ჭეშმარიტებებთან მიმართებაში: ღვთისმხილველმა და წინასწარმეტყველმა მოსემ სულიწმიდის მადლით დაწერა და კაცობრიობას ბიბლიის პირველი ხუთი წიგნი დაუტოვა. მას შემდეგ სამ ათასწლეულზე მეტი გავიდა, მორწმუნე ადამიანები ამ და სხვა ბიბლიურ წიგნებს ეცნობიან, სწავლობენ და მათი საშუალებით უფალს უახლოვდებიან; ჭეშმარიტების შეცნობის პროცესი პიროვნების სულიერ სრულყოფას ემსახურება. ამასთან, ღმერთისკენ ლტოლვა ადამიანს ცათა სასუფეველთან აკავშირებს და მისი მოკვდავი მიწიერი ბუნება უკვდავებაში გადაჰყავს.

პარადოქსია, მაგრამ XVIII საუკუნისა და მომდევნო დროის მატერიალისტური ცოდნით შეიარაღებულ ათეისტებში (მათ შორის იყვნენ ვოლტერი, დიდრო, რუსო და სხვა ენციკლოპედისტები), დამცინავ ღიმილსა და ირონიას იწვევდა ბიბლიური ჭეშმარიტება თუნდაც იმის შესახებ, რომ მზის, მთვარისა და ვარსკვლავების გაჩენამდე წმინდა წერილი დღისა და ღამის არსებობას ადასტურებს. მათი აზრით ბიბლია უმეცარ და გაუნათლებელ ადამიანებზეა გათვლილი. მათი უღმრთო ენციკლოპედიური მოღვაწეობა ერთგვარი ინტელექტუალური ბაბილონის გოდოლის მშენებლობას მოგვაგონებს, რადგან სინამდვილეში ღმერთი ადამიანისაგან მაღალ სულიერებასთან ერთად ღრმა განსწავლულობასა და კეთილგონიერებას მოითხოვს.

წმინდა მამები გვასწავლიან, რომ თავისი მატერიალური აზროვნების გამო ადამიანს არ შეუძლია სრულად შეიცნოს შესაქმის საიდუმლო. მიუხედავად ამისა, ადამის მოდგმა დროთა მანძილზე თავის შემოქმედს – ღმერთის სახებასა და ხატებას, მაინც სულ უფრო მეტად უახლოვდება. ამ მოსაზრების დასტურია მაცხოვრის სიტყვები, რომლითაც ის ურწმუნოებსა და უიმედოებს მიმართავს: *„მიუგო მათ იესომ: განა თქვენს რჯულში არ გიწერიათ: მე ვთქვი, რომ ღმერთები ხართ?“* (იოან. 10:34).

მოსე წინასწარმეტყველის წიგნით, ყოველი ჩვენგანის უნებლიე შეკითხვას: რისთვის უნდა ვსწავლობდეთ ბიბლიას, უფალი ეხმიანება და ბრძანებს: *„წყალობა მნებავს* და *არა მსხუერპლი* და *შემეცნება ღმრთისაი, ვიდრე ყოვლად დასაწუელნი“* (ოს. 6:6). ეს სიტყვები უდიდესი შინაარსის მატარებელია, აქ ღმერთი ყოვლად დასაწველ მსხვერპლზე უფრო მეტად თავისი საქმეებისა და პიროვნებისათვის სამაგალითოდ, ადამიანის მიერ უფლის ბუნების შესწავლასა და შემეცნებას მოითხოვს. მოგვიანებით იესო ქრისტე ამ აზრს აზუსტებს და ყოველ ჩვენგანს ასწავლის: *„გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი სულით და მთელი შენი გულით და მთელი შენი გონებით. ეს არის პირველი და მთავარი მცნება“* (მათ. 22:37-38).

ჩვენ ვხედავთ, რომ უფალი, ღვთისმორწმუნე ადამიანისაგან არ მოელის გაუაზრებლად გაღებულ მსხვერპლს. ის უფრო მნიშვნელოვნად, ღვთის სიყვარულის ცოდნით გამყარებას მიიჩნევს. ცხადია, იმ მომენტიდან, როდესაც სიმდაბლით, სიმშვიდითა და სასოებით აღძრული ადამიანი საკუთარ თავში ასეთი მაღალი ღირებულების ცოდნაში გაღრმავების შესაძლებლობას აღმოაჩენს, ღვთისა და მოყვასის წინაშე იგი აბსოლუტურად სხვა ღირსებით წარმოჩინდება.

დასაბამი

ძველი აღთქმა ასე იწყება: *„დასაბამად შექმნა ღმერთმა ცა და ქვეყანა“*. ეს არის ბიბლიური ტექსტის დასაწყისი და ამავე დროს: *„მე ვარ ანი და ჰაე, დასაბამი და დასასრული, ამბობს უფალი, რომელიც არის, იყო და იქნება, ყოვლისმპყრობელი“* (გამოცხ. 1:8), გვამცნობს, რომ სასრულიც მის ხელთ არის ვისაც საწყისი უპყრია.

ბიბლიის მხოლოდ პირველი სიტყვა მიგვანიშნებს დასაბამის შესახებ: *„დასაბამად შექმნა ღმერთმა“*, უფლის სხვა ყველა ქმედება იწყება სიტყვებით: *„და თქვა ღმერთმა“*. სიტყვა „დასაბამად“ იმიტომ არის გამოყენებული, რომ ეს სიტყვა თავისთავად არაფრისაგან შექმნას გულისხმობს. ამდენად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიბლიის პირველი სიტყვები უფრო მეტად მოგვითხრობენ არა ქმნილებაზე, არამედ იმის ბუნებასა და საოცარ შესაძლებლობებზე, ვინც შექმნა, ანუ ღმერთზე.

„დასაბამად“, ამავე დროს გულისხმობს დროის დასაწყისს. ესე იგი იმ დასაბამამდე რომელიც უფლის ნებით დადგინდა, დრო არ არსებობდა. შესაბამისად გამოდის, რომ უფალმა სამყარო არარსებობიდან არსებობაში გამოიყვანა. ეს არსებობა ადამის ცოდვით დაცემის შედეგად გარკვეული დროით, ანუ სიკვდილით შეიზღუდა. მაგრამ დამკვიდრებული არსებობა სიკვდილმა ვერ გადალახა, რადგან უკვდავია სული, რომელიც უფალმა ადამიანს შთაბერა. ამიტომ, იღვაწის რა ღმერთი ადამიანის სულის სრულყოფისათვის, ზრუნავს მისი სიკვდილისაგან გადარჩენაზე, და ის ვისაც სწამს ღმერთი და თავის რწმენას სურვილით განამტკიცებს, უფალი უკვდავებისაკენ, ანუ მარადისობაში გაუძღვება.

როდესაც ვსაუბრობთ „დასაბამის“ შესახებ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ დასაბამამდე, ანუ მანამდე, სანამ ღმერთი დასაბამს დაიწყებდა, არავითარი „პროტომატერია“ არ არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ გონებისათვის ასეთი მდგომარეობა ძნელად მისაწვდომია, ადამიანს მიახლოებით მაინც შეუძლია მიხვდეს, თუ რას ნიშნავს არარსებობიდან არსებობაში გამოყვანა. უფალმა ადამიანს წარმოსახვის უნარი მისცა და როდესაც ჩვენი ფანტაზიით არარსებულს ვაცოცხლებთ, იქ იწყება არარსებულის არსებულში გადმოყვანა და ჩვენ, ჩვენს „ქმნილებას“, ჩვენი ნებით „დასაბამს“ ვუმკვიდრებთ.

ღვთის ნებით, სამყაროში, ყველა სახის მასალა არსებობს ჩვენი წარმოდგენისა და სურვილის რეალობად გადასაქცევად, მაგრამ მიუხედავად იმისა, ღმერთისაგან განსხვავებით, ჩვენ არ ძალგვიძს, რასაც წარმოვიდგენთ ყოფიერებაში შემოვიყვანოთ. ალბათ ეს სამართლიანი და საჭირო ნაკლია, რადგან ადამიანის ყოველგვარ ფანტაზიას ხორცი რომ შეესხას, ადამისა და მისი შთამომავლობის დაცემულობისა და არასრულყოფილების გამო სამყაროში მრავალი წარღვნა და ენით აუწერელი უბედურება დატრიალდება.

რა ვიცით იმის შესახებ, თუ როგორ ქმნის უფალი

ებრაული სიტყვა „ბარა“ („შექმნა“) ხუთწიგნის ავტორს გამოყენებული აქვს მხოლოდ ერთ შემთხვევაში, მაშინ, როდესაც საქმე ეხება ღმერთის ისეთ ქმედებას, როგორიც არის „შექმნა არაფრისაგან“ ან „შექმნა“. წმინდა წერილში, ზოგადად ღვთის მოქმედება სხვა სიტყვებითაც არის გადმოცემული, მაგალითად:

„და გაიგონეს ხმა უფალი ღმერთისა, რომელიც დადიოდა სამოთხეში საღამოს“ (დაბ. 3:8).

„და გარდამოვიდა უფალი, რათა ენახა ქალაქი და გოდოლი“ (დაბ. 11:5).

„და დაასრულა ლაპარაკი მასთან და ამაღლდა ღმერთი აბრაამისაგან“ (დაბ. 17:22).

„ჩაიარა უფალმა მის წინ და შეჰღაღადა მოსემ: უფალო, უფალო! ღმერთო მწყალობელო და შემბრალებელო, სულგრძელო, დიდმადლიანო და ჭეშმარიტო“ (გამ. 34:6).

მაგრამ ზმნა „ბარა“ („შექმნა“) მხოლოდ შესაქმის წიგნის დასაწყისში გვხვდება. შესაბამისად, ეს სიტყვა მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როდესაც საქმე ღმერთის შესაქმეს ეხება.

ღმერთი – ებრაულად ელოჰიმე, ბიბლიაში მრავლობით რიცხვშია წარმოდგენილი, ხოლო შემასმენელი-ზმნა მის გვერდით ყოველთვის მხოლობით რიცხვს გამოხატავს. სულ უფრო მატულობს იმ ეგზეგეტიკოსთა (ეგზეგეტიკა – ღვთისმეტყველების დარგია, რომელიც მიზნად საღმრთო წერილის – ბიბლიის ახსნა-განმარტებას ისახავს) რიცხვი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ტექსტის ეს თავისებურება ნათლად მიგვითითებს, ღმერთის ერთარსობასა და ამავე დროს „სამგვაროვნებაზე“ (სამპიროვნულობაზე) და იმაზე, რომ – მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა, – სამების წევრები, – თანასწორნი არიან.

შექმნის ნება. შესაქმის განხორციელების ნება მამა ღმერთის ქმედებაში ვლინდება. წმინდა იოანე დამასკელი გვასწავლის:

„რადგან კეთილმა და ზეკეთილმა ღმერთმა არ იკმარა თავისი თავის ჭვრეტა, არამედ სიკეთის სიჭარბის გამო ისათნოვა მან იმგვართა შექმნა, რომლებიც მიმღებნი იქნებოდნენ მისი ქველმოქმედებისა და წილმქონენი მისი სიკეთისა, არარსებობიდან არსებობაში შემოიყვანა და შექმნა ყოვლიერება, ხილულიც და უხილავიც, აგრეთვე, ხილულისა და უხილავისგან შემდგარი ადამიანი. ხოლო ქმნის იგი, მოიაზრებს რა, და მოაზრებული საქმედ არსდება, სიტყვით აღსრულებული და სულით განსრულებული“.

ღვთის მოწყალებისა და მადლის შესახებ არაერთ ფსალმუნშია გადმოცემული, მაგალითად: 148 ფსალმუნი პირდაპირ მოგვიწოდებს და გვამცნობს:

„ადიდეთ უფალი. ადიდეთ უფალი ზეციდან, ადიდეთ იგი სიმაღლეებში.

ადიდეთ იგი, ყოველნო ანგელოზნო მისნო, ადიდეთ იგი, ყოველნო ძალნო მისნო.

ადიდეთ იგი, მზეო და მთვარევ, ადიდეთ იგი, ყოველნო შუქურვარსკვლავნო.

ადიდეთ იგი, ცანო ცათანო, და წყლებო, რომელნიც ცათა მაღლა ხართ.

ადიდონ სახელი უფლისა, რადგან მან ბრძანა და შეიქმნენ“ (148:1-5).

წმინდა ბასილი დიდი საკითხს სვამს და თავადვე პასუხობს: როგორ ბრძანებს, ანუ მეტყველებს ღმერთი? ნუთუ იმგვარად, ისე, როგორც ჩვენ ხელგვეწიფება ეს ქმედება... ნუთუ უფალი საჭიროებს ჰაერის რხევით ბგერათა აღძვრას საკუთარი ნააზრევის გადმოსაცემად?... იქნებ უფრო სამართლიანი იქნებოდა გვეთქვა, რომ ღვთის ნება და უწინარესი გონიერი მინიშნება ძეა ღვთისა, სიტყვაა, იესო ქრისტეა?

მოაზრებული და აღსრულებული სამყარო, „სიტყვის“ – იესო ქრისტეს მიერ. იოანე მახარებელი ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს შესახებ ბრძანებს: *„დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა. ის იყო დასაბამიდან ღმერთთან. ყველაფერი მის მიერ შეიქმნა, და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა“* (იოან. 1:1-3). როგორც ვხედავთ, სამების პირველი წევრის, მამა ღმერთის ნება ძე ღმერთის მეშვეობით აღესრულება. ამდენად, მამა და ძე, ერთი მხრივ, განუყოფელია, ხოლო მეორე მხრივ, ურთიერთშეურეველია.

თუ ის, რაც დასაბამამდე მამა-ღმერთში სუფევდა, სრული საიდუმლო იყო, მოციქული პავლე ამ საიდუმლოს შესახებ გვამცნობს: *„მე, უმცირესს წმიდათა შორის, მომეცა ეს მადლი, რათა მეხარებინა წარმართთათვის წარმოუდგენელი სიმდიდრე ქრისტესი, და გამეცხადებინა ყველასთვის, რა არის აღმშენებლობა საიდუმლოსი, უკუნისიდან დაფარულისა ღმერთში, რომელმაც შეჰქმნა ყოველი ქრისტეს მეოხებით“ (ეფ. 3:8-9), ხოლო კოლასელთა ეპისტოლეში უფრო მეტად აზუსტებს ამ თავისი უმნიშვნელოვანესი განცხადების შინაარსს და იესო ქრისტეს შესახებ ბრძანებს: „მასში შეიქმნა ყოველი, მიწიერიც და ზეციერიც; ხილული თუ უხილავი, საყდარნი თუ უფლებანი, მთავრობანი თუ ხელმწიფებანი – ყველაფერი მის მიერ და მისთვის შეიქმნა“* (კოლ.1:16).

ამრიგად, როგორც მამა სერაფიმ როუზი ბრძანებს: *„შესაქმის ტრადიციული მართლმადიდებლური იკონოგრაფია სულაც არ წაგავს სიქსტის კაპელის მიქელანჯელოსეულ გმირებს. მოხუცი მამა ღმერთის ნაცვლად, რომელმაც ადამი გამოძერწა, ჩვენ ვხედავთ ძეს, მამის შემოქმედ სიტყვას, მამასთან სრულად შეურეველ და განუყოფელ, სრულ ღმერთს იესო ქრისტეს. როგორც ვხედავთ მამა განკარგავს, ძე ქმნის“.*

მოაზრებული და აღსრულებული სამყარო, განსრულებული სული წმინდას მიერ

შემდეგ წმინდა წერილში ვკითხულობთ: *„ხოლო ქვეყანა იყო უხილავი და გაუმზადებელი, ბნელი იყო უფსკრულზე და სული ღვთისა მიმოიქცეოდა წყალზე“* (დაბ. 1:2).

სული წმინდა დასტრიალებდა ქვეყანას, რადგან თავისი შემოქმედებითი ძალით ის მამისა და ძის ტოლია და შექმნაში მათი თანაზიარია. მამამ მოიაზრა, ძემ აღასრულა; საჭირო იყო თავისი ქმედებით სული წმინდას, ყოველივე განესრულებინა. შესაქმეში წმინდა სამება სრულად მონაწილეობდა; ამიტომ, სწორედ სული წმინდას ღვაწლით დაიწყო ქვეყანამ ცხოვრების ძალით აღვსება, – ასე გვიხატავს შესაქმეში მისი მონაწილეობის სურათს წმინდა ეფრემ ასური: *„სწორედ სულიწმიდას, როგორც სამების სრულფასოვან შემოქმედებით ძალას, შეეფერებოდა მიმოქცევა ასაღორძინებლად განმზადებულ ქვეყანასა ზედა. რადგან მამამ წარმოთქვა, ძემ შექმნა; შესაბამისად სულიწმიდას თავისი განმასრულებელი საქმე უნდა განეხორციელებინა. და მან ამ თავისი მიმოქცევით წყალსა და ქვეყანასა ზედა გვიჩვენა, რომ ყველაფერი შექმნილი და განსრულებული იქნა წმინდა სამების მიერ“.*

წმინდა ბასილი დიდი კითხულობს: *„რატომ არის, რომ ცა და ქვეყანა ერთნაირად შეიქმნა და ისეა დაწერილი, თითქოს ცა სრულყოფილებამდეა მიყვანილი, ხოლო ქვეყანა ჯერ კიდევ არ არის განმზადებული? ანდა საერთოდ რას ნიშნავს სიტყვა განუმზადებელი? რა მიზეზით არის ნათქვამი სიტყვა უხილავი?*

სრულად განმზადებულობა ქვეყნის სისავსეს, ღვთიურ ქმნილებათა სიმრავლეს და სიუხვეს გულისხმობს; ნაყოფიერი და უნაყოფო ხეების, კეთილშემოსილი, სურნელებით აღსავსე მცენარეებისა და ყველაფერი იმის არსებობას, რაც ღვთის ნებით უნდა აღორძინებულიყო და რითაც უნდა აღვსილიყო და გამშვენებულიყო დედამიწა. ვინაიდან ყოველივე ეს ჯერ არ იყო განხორციელებული, წმიდა წერილში სამართლიანად არის ნათქვამი, რომ „ქვეყანა იყო უხილავი და გაუმზადებელი“.

მაგრამ იგივე ითქმის ზეცის შესახებაც. არც ზეცის შექმნა იყო დასრულებული, ჯერ არც ზეცა იყო დამშვენებული მისთვის შესაბამისი მორთულობით; მასზე არ ბრწყინავდნენ ვარსკვლავები, მთვარე არ ჰფენდა ღამეს ნათელს, მზე არ ასხივოსნებდა დღეს. ყველაფერი ზეციური ჯერ არ იყო მოყვანილი მოქმედებაში, ამდენად არ შევცოდდეთ, თუ ზეცასაც განუმზადებლად მოვიხსენიეთ“ (Шеф стодиев IIшидг. 14).

წმინდა ამბროსი მედიოლინელი დაბადების პირველი დღისა და ქვეყნიერების საფუძვლის შექმნის შესახებ ბრძანებს: კარგი მშენებელი ჯერ საძირკველს ქმნის, შემდეგ, როდესაც ფუძე უკვე გამყარებულია, ერთი მეორის მიყოლებით სხვა საამშენებლო სამუშაოებს იწყებს, რომელთა დასრულებასაც, ბუნებრივია, ნაგებობის მორთვა და მოკაზმვა მოჰყვება... სათანადოდ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ წმიდა წერილის მიხედვით, ყველაფერი ჯერ შეიქმნა, შემდეგ აღმოცენდა და მხოლოდ ყოველივეს აღორძინებას მოჰყვა შესაფერისი წესით განწესება. ეს განწესება გამოსჭვივის უფლის სიტყვებში, რომელთა შესახებაც ასე სწერია: *„თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი“* (დაბ. 1:3).

წმინდა ამბროსი ასე აღწერს ამ საოცრებას: ღმერთი ქმნის ნათელს, ხოლო მიზეზი ნათლის ქმნისა არის ბნელი და ბნელით მოცული ქვეყნიერება. ყოვლადკეთილმა ჩვენმა უფალმა წარმოთქვა სიტყვა *„იყოს ნათელი“*, და სული წმიდამ ამ სიტყვებით ბნელში ჩაძირულ უსარგებლოს და გასაცუდარს შუქი მოჰფინა, მადლით აღავსო და დაამშვენა ქვეყნიერება. ღვთის სიტყვებს მოჰყვა ჰაერის და მთელი სივრცის ნათლით გაბადვრა, გაპირთავება; ბნელი უფსკრულში, მტრობის მორევში, გოჩგოჩანაში ჩაინთქა და გადაიხვეწა (მასალა გამოყენებულია, მამა სერაფიმე როუზის წიგნიდან *Православное понимание книги Быти . М.* 1998).

წმინდა ეფრემ ასურისა და სხვა წმიდა მამების მტკიცებით ეს ნათელი არ არის არც მზის და არც მთვარის შუქი. აი, რას გვეუბნება წმიდა წერილი ამ ნათელის შესახებ:

წმიდა იოანე ღვთისმეტყველი გვასწავლის: *„გაუწყებთ თქვენ, რომ ღმერთი არის ნათელი და არ არის მასში არავითარი ბნელი“* (1 იოან. 1:5).

დავით მეფსალმუნე გვამცნობს: *„უფალი ჩემი შუქი არის და ხსნაა ჩემი – ვის შევუშინდე? უფალი ბურჯია ჩემი სიცოცხლისა - ვისგან შევძრწუნდე?“* (ფსალმ. 26:1).

სხვაგან: *„რადგან შენთან არის წყარო სიცოცხლისა. შენი შუქით ვხედავთ სინათლეს“* (ფსალმ. 35:10).

ანდა: *„გაკრავს სინათლე სამოსელივით, განგიფენია ცა ფარდასავით“* (ფსალმ. 103:2).

და კვლავ წმინდა იოანეს სახარებიდან უფალი იესო ქრისტე ბრძანებს:

„მე ვარ ნათელი ქვეყნისა; ვინც გამომყვება, ბნელში კი არ ივლის, არამედ ექნება სიცოცხლის ნათელი“ (იოან. 8:12).

„ნათელს ღმერთმა უწოდა დღე და ბნელს უწოდა ღამე. იყო საღამო, იყო დილა – პირველი დღე“ (დაბ. 1:5).

როლანდ ჩხეიძე

ერთი დღე წეროვანში

ომი შემზარავი ბოროტებაა. ომგადატანილ ადამიანებს მუდამ თან სდევთ საშინელი კოშმარების სიმძიმე. მათ განსაკუთრებული თანადგომა სჭირდებათ. თბილისის 72-ე საჯარო სკოლა ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც აგვისტოს ომის შემდეგ, სითბო და მზრუნველობა არ მოაკლო კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ თანამემამულეებს. სკოლის ოთხივე სართული ქართველ დევნილთა თავშესაფრად იქცა.

გასაოცარი ერთსულოვნებით დადგა ფეხზე მთელი სკოლა, თემი, მოსწავლეები, პედაგოგები. სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ერთ მუშტად შეკრა გაჭირვებაში ჩავარდნილთა დახმარების, თანადგომის სურვილმა. ამ ურთულეს დღეებში სკოლას გვერდით ედგა ჩვენი საპატიო პედაგოგი – საქართველოს პირველი ლედი **სანდრა-ელისაბედ რულოვსი**. დევნილთა გაოცებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ქალბატონმა სანდრამ პირადად გადასცა მათ ლეიბები, ჰიგიენური საშუალებები და ტანსაცმელი. შემდეგ „ასტრა პარკში“ მიიპატიჟა, რათა ცოტა ხნით მაინც დაევიწყებინა მათთვის ომის მძიმე დღეები.

სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე სკოლაში დროებით ჩასახლებული ლტოლვილები სხვა დაწესებულებებში გადაანაწილეს. ჩვენ არც ამის შემდეგ შეგვიწყვეტია მათზე ზრუნვა. სკოლამ, რომელშიც 13 სხვადასხვა ეროვნების მოსწავლე სწავლობს, ლტოლვილ მოსწავლეთა დასახმარებლად შეიმუშავა პროექტი „თანატოლები თანატოლებისათვის“. 2008-2009 სასწავლო წლის ოქტომბერში, პროექტის ფარგლებში, სკოლამ უმასპინძლა და მატერიალური დახმარება აღმოუჩინა მთაწმინდა-კრწანისის რაიონში განსახლებულ 350 დევნილ მოზარდს.

პროექტი გრძელდება. მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს დაიგეგმა გასვლითი ღონისძიება წეროვანში, სადაც საქართველოს მთავრობამ სახლები აუშენა და კომპაქტურად ჩაასახლა დევნილი მოსახლეობა. „თი ბი სი“ ბანკმა კი თანამედროვე სტანდარტებით აგებული ულამაზესი სკოლა აჩუქა ბავშვებს.

ღონისძიების მომზადებაში დიდი ენთუზიაზმით ჩაებნენ: მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგები. მომზადდა საჩუქრები და საკონცერტო პროგრამა. 72-ე სკოლის ინიციატივას საგარეჯოს I-ლი საჯარო სკოლაც შეუერთდა. ორივე სკოლა ტრანსპორტით უზრუნველყო მმართველმა პარტიამ.

შეხვედრა საოცრად გულთბილი იყო. მასპინძლებმა სიამაყით დაათვალიერებინეს სტუმრებს თავიანთი სკოლა, რის შემდეგაც სააქტო დარბაზში გადაინაცვლეს. წეროვანის სკოლის დირექტორმა, **რამინ ჩიტიშვილმა** მადლობა გადაუხადა სტუმრებს გულისხმიერებისათვის. 72-ე და საგარეჯოს I-ლი სკოლების დირექტორებმა – **ნათელა ნატროშვილმა** და **დალი ბედოშვილმა** – ხელი მოაწერეს მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

გაიმართა საზეიმო კონცერტი. სტუმარ-მასპინძელი მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლექსების მხატვრულ კითხვაში, სიმღერებსა და ცეკვებში. საათზე მეტ ხანს ისმოდა სკოლის სააქტო დარბაზში უმშვენიერესი ქართული ჰანგები. სხვადასხვა ეროვნების ბავშვები ერთმანეთს უცვლიდნენ მისამართებსა და ტელეფონის ნომრებს, ეძნელებოდათ განშორება.

ყველა ბედნიერი იყო. ეს ლამაზი დღე დიდხანს დარჩებ მათ მეხსიერებაში.

მერი ბაბუციძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

ბაქსუდის სკოლა საქართველოში

ბაქსუდის საერთაშორისო სკოლათა ქსელს, მრავალი წელია, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დიდი ბრიტანეთის, ახალი ზელანდიის, იტალიის განათლების სფეროს განვითარებაში. ბაქსუდის სკოლის გახსნის იდეა საქართველოში წელს მას მერე გაჩნდა, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების პროგრამის ფარგლებში, ბაქსუდის სკოლა თავის მთავარ პარტნიორად აირჩია. ამ პარტნიორობის შედეგად, წელს საქართველოში ინგლისური ენის შემსწავლელ საზაფხულო სკოლებში ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში გამარჯვებულმა 1000 მოსწავლემ უკვე გაიარა ინგლისური ენის ინტენსიური კურსი, მათგან საუკეთესონი კი დიდ ბრიტანეთში გაემგზავრნენ.

ბრიტანული საგანმანათლებლო დაწესებულება – ბაქსუდის საერთაშორისო სკოლა გაიხსნა გაეროს ასოციაციის საერთაშორისო სკოლის ბაზაზე, რომელიც 2000 წლიდან წარმატებულად ფუნქციონირებს საქართველოში.

სკოლის გახსნის საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობდნენ: განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **ნიკა გვარამია;** ბაქსუდის ბრიტანული სკოლის დირექტორი **გაილს სატონი**; ბაქსუდის თბილისის სკოლის დირექტორი **ლევან ხარატიშვილი**; განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ირინე ქურდაძე**; განათლების სფეროსა და საზოგადოების წარმომადგენლები.

აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, დირექცია და მოსწავლეები იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა აფხაზეთის ა/რ-ის განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანამშრომლის, გალის დამსახურებული პედაგოგის, ქალბატონ ლეილა თორიას შვილი

ნიკა ასვანუა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ახალი საგანმანათლებლო ცენტრი

26 ოქტომბერს, გორში, ბავშვთა და ახალგაზრდობის ახალი ცენტრი გაიხსნა. ოფიციალური გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ: შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული, გორის მუნიციპალიტეტის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროსაბჭოს წარმომადგენლები.

გორის მუნიციპალიტეტი ცენტრს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადგილობრივ რესურსცენტრთან თანამშრომლობით უხელმძღვანელებს. გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროსაბჭოს განვითარების ბანკის ძალისხმევით, გარემონტდა ცენტრის შენობა და აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარითა და მასალებით. გაეროს ბავშვთა ფონდმა ცენტრს შეუძინა სპეციალური ავტობუსი ბავშვთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით.

„ჩვენ ძალზე მოხარულები ვართ, რომ გორსა და მის მიმდებარე რაიონებში მცხოვრებ ბავშვებს ამიერიდან ექნებათ ადგილი განათლებისა და განვითარებისათვის, – განაცხადა **ჯოვანა ბარბერისმა**, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში, – *განათლება და შემეცნებითი განვითარება უაღრესად მნიშვნელოვანია ბავშვებისათვის. იუნისეფის ხელშეწყობით ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მშობლებსა და მთლიანად ოჯახებს არა აქვთ საკმარისი ცოდნა და სათანადო პრაქტიკა ადრეულ ასაკში ბავშვის აღზრდასთან, ჯანმრთელობასა და განვითარებასთან დაკავშირებით. ოჯახების, სულ მცირე, ორ მესამედში, მშობლები ვერ ახერხებენ ბავშვთა ადეკვატურად მოვლას და მათ სტიმულირებას ადრეულ ასაკში; ოჯახების 56 პროცენტს არა აქვს რესურსი ბავშვის განვითარების ხელშეწყობისთვის (წიგნები, სათამაშოები). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ბავშვებისთვის, რომლებიც გასული წლის კონფლიქტის შედეგად დაზარალდნენ. განათლება მათთვის, ამავდროულად, სტრესის დაძლევისა და რეაბილიტაციის საშუალებაცაა. ცენტრი დაეხმარება ბავშვებს ჰქონდეთ, წიგნები და საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე შეიძინონ აუცილებელი უნარ-ჩვევები განვითარებისა და სოციალიზაციისათვის“.*

„ეს ცენტრი პირველია საქართველოში და იგი გამოყენებული იქნება, როგორც მოდელი, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე ახალგაზრდული ცენტრი, – განაცხადა გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ, **ზურაბ ჩხეიძემ**, – *მისი ფუნქციონირება ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რადგან აქ იმუშავებს ისეთი სექტორები, რომლებსაც მუნიციპალიტეტი აქამდე ვერ აფინანსებდა. ცენტრის საშუალებით ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელებას ვაპირებთ“.*

ცენტრი მოემსახურება ბავშვებსა და ახალგაზრდებს, 5-დან 24 წლამდე, გორის და გორის რაიონის სოფლებიდან. ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში მუშაობს 4 ძირითადი სექტორი: სკოლამდელ ბავშვთა განვითარების, დრამის, ჟურნალისტიკისა და ახალგაზრდული სექტორები. ცენტრში განთავსებულია სამკითხველო და ბიბლიოთეკა.

ცენტრის მეშვეობით, დევნილი და ადგილობრივი ბავშვისათვის ხელმისაწვდომი გახდება სახელმძღვანელოები, დასურათებული წიგნები, სხვადასხვა მხატვრული და სპეციალური ლიტერატურა. ეს დაეხმარება ბავშვებს წერა-კითხვის უნარის გაუმჯობესებაში და გაუღვივებს მათ კითხვისა და სწავლის ინტერესს. აგრეთვე, მათ შესაძლებლობა ექნებათ, დაესწრონ კომპიუტერის და თეატრალურ გაკვეთილებს, სხვა შემეცნებით-გასართობ და სპორტულ ღონისძიებებს. ცენტრი დაეხმარება ბავშვებს ინტელექტუალურ და ემოციურ ზრდასა და განვითარებაში, რაც არსებითია სკოლაში წარმატების მისაღწევად.

ადრეული ასაკისათვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამა ხელს შეუწყობს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა განვითარებას და მათ სკოლისათვის მოამზადებს. ჟურნალისტიკის, დრამის წრეები და ახალგაზრდული კლუბი კი სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდებს მისცემს საშუალებას, აზრიანად გაატარონ თავისუფალი დრო და სწავლასა და განვითარებას მოახმარონ.

საინტერესო გაკვეთილი

ბრძოლები ტობარში

გაკვეთილის მიზანი:

1) მინდა თვალნათლივ ვაჩვენო კლასს სვანეთიდან საბჭოთა ჯარების განდევნა 1921 წელს და კავშირი გეოგრაფიასთან, როგორც ხელშემწყობი და, ხშირ შემთხვევაში, ბრძოლაში გამარჯვების გადამწყვეტი ფაქტორი. მივიყვანო კლასი იმ დასკვნამდე, რომ ჯერ კიდევ VI საუკუნეში, გუბაზ მეფის მკვლელობით აღშფოთებულმა სვანებმა (555 წ.) როგორ განდევნეს ბიზანტიელები სვანეთიდან და რომ ტობარი იყო მათთან შეტაკების ბოლო პუნქტი.

2) 1941-43 წლები. მეორე მსოფლიო ომის პერიოდი. ტობარ-საგერგილი გამაგრებულია დივიზიით, რომელსაც მეთაურობდნენ ყურაშვილი და ონიანი. ტობარ-საგერგილი გერმანელთა სასაფლაოდ გადაიქცეოდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი კავკასიონის ქედს გადმოლახავდნენ და მდ. ნენსკრისა და ნაკრის ხეობებით სვანეთში დაეშვებოდნენ, რათა გაჭრილიყვნენ საქართველოს ბარისკენ.

3) 2008 წლის აგვისტოშიც იდგნენ სამტროდ მოსული რუსული ტანკები ტობარში. კოდორიდან უკან დახეული ჩვენი ჯარის ნაწილები, რუსი დამპყრობლების მოსვლამდე, მშვიდობიანად გასცდნენ ტობარ-საგერგილის სტრატეგიულ პუნქტს, რითაც აცილებულ იქნა შეტაკება და სისხლისღვრა.

იმისათვის რომ კლასი გავააქტიურო განვლილი მასალიდან დავსვამ რამდენიმე კითხვას:

საუკუნეზე მეტ ხანს გმინავდა საქართველო რუსეთის კოლონიური უღლის ქვეშ, არაერთი აჯანყებისა და სისხლისღვრის შემდეგ საქართველო აღწევს დამოუკიდებლობას. როგორ?

აღმოჩნდა თუ არა სრულფასოვანი დოკუმენტი საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება?

რომელ წელს კარგავს საქართველო დამოუკიდებლობას? როგორ? რატომ?

ვინ იყვნენ სვანეთის აჯანყების მეთაურები და რატომ აჯანყდნენ?

რადგან საგაკვეთილო მასალა მოსწავლეებისათვის სრულიად უცნობია (ის სახელმძღვანელოებში არსად არ არის), მასალის გადაცემა, ძირითადად, ლექციური სახით წარვმართე.

ბოლოს კითხვების დასმით შევამოწმე, თუ რამდენად აითვისეს მოსმენილი ლექცია მოსწავლეებმა.

ა) რა ჰქვია ადგილს, სადაც მოხდა ბოლოსწინა შეტაკება წითელ არმიელებსა და აჯანყებულ სვანებს შორის და რა გვარის რუსი გენერალი დაიღუპა ამ შეტაკების დროს?

ბ) ვის შეუძლია მოკლედ გადმოსცეს 1921 წლის ტობარის ბრძოლა;

გ) რატომ ხტებოდნენ თავის მოსაკლავად საბჭოთა მებრძოლები მაღალი კლდეებიდან? რა როლი შეასრულა ადგილმდებარეობამ?

დ) მიუხედავად პირველი წარმატებებისა სვანეთის 1921 წლის აჯანყება დამარცხდა. რატომ?

ე) როგორი დამოკიდებულება გამოავლინეს ომში დაღუპულების მიმართ სოფელ ტობარის მცხოვრებლებმა?

ვ) კავკასიონის ქედზე ამოსული გერმანელები (მდინარეების ნენსკრის და ნაკრის სათავეებთან მდებარე უღელტეხილზე მდგარი) რატომ ვერ დაეშვნენ სვანეთში?

ზ) რატომ არ მოხდა გერმანელებს და საბჭოთა ჯარებს შორის შეტაკება ტობარში, მეორე მსოფლიო ომის დროს?

თ) როგორ გადარჩა ტობარი 2008 წლის აგვისტოში სისხლისღვრას?

დასკვნა

1921 წელს სოფელ ტობარში განადგურდნენ საბჭოთა ჯარის ნაწილები;

1941-43 წწ. ტობარის კარიბჭეს მოადგნენ გერმანელი ფაშისტები;

2008 წლის აგვისტოში ტობარში შემოვიდნენ რუსული ტანკები;

ბიზანტიელების განადგურება ტობარში 555 წელს .

რატომ ხვდება ერთმანეთს ტობარში ამდენი შორეული ქვეყნის სამტროდ მოსული ძალები ერთმანეთს? ამას განაპირობებს დასავლეთ საქართველოს ბარის დამაკავშირებელი გზები ჩრდილოეთ კავკასიასთან და ენგურის აუზის გზების შესაყარი ერთ ვიწრო წერტილში, ტობარ-საგერგილში თავმოყრილი. სწორედ ამიტომ მიმაჩნია უეჭველ ფაქტად 555 წელს ტობარში ბიზანტიელების განადგურება. ამის დასტურია ტობარში დიდი რაოდენობით ნაპოვნი საბრძოლო ისრებიც.

ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ სვანეთის სხვა სოფლებთან შედარებით, ჭუბერი ეგრისთან ტერიტორიულად უფრო ახლოსაა და კავკასიონის ერთ-ერთ მთავარ გადასასვლელს ებჯინება, რომლის გამო ბიზანტია და სპარსეთი სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ ერთმანეთს გადაკიდებული და ვერც 562 წელს ქალაქ დარაში დადებული ხელშეკრულებით შეთანხმდნენ სვანეთის საკითხზე.

ნენსკრის ხეობაში სოფელი ჭუბერი 20 კმ-ის მანძილზეა გადაჭიმული, ტერიტორიით მოხერხებული და რესურსით მდიდარი დასახლებაა. ენგურის და ნენსკრის შესართავთან მდებარე პატარა, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სოფელი ტობარი ჭუბერისათვის ჭიშკარსა და გასაღებს წარმოადგენს, ამიტომ ბიზანტიელების სვანეთიდან განდევნის დროს აუცილებლად ტობარში მოხდებოდა ბოლო ანგარიშსწორება.

1921 წლის 25 თებერვალს, ბოლშევიკურმა რუსეთმა XI წითელი არმიის ძალებით, რომელსაც მეთაურობდნენ ორჯონიკიძე და კიროვი, თბილისზე საბჭოთა წყობილების წითელი დროშა ააფრიალეს, რითაც საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა. ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოს ძალდატანებით გასაბჭოების პირველი დღეებიდანვე დაიწყო.

ანტისაბჭოთა აჯანყების დროშა პირველად სვანებმა ააფრიალეს. აჯანყებულებს სათავეში ედგნენ **მოსსტერ დადოშქელიანი, ნესტორ გარდაფხაძე** და **ბიძინა პირველი**. სვანეთის აჯანყება თითქმის ექვს თვეს გაგრძელდა. სვანეთში განლაგებული წითელი არმიის ნაწილები დამარცხდნენ, უკან დაიხიეს, მაშველი ძალები მათ სოფელ დიზთან – სორმელდაშის კლდეებთან შეხვდათ, გენერალ პროხოროვის სარდლობით, მაგრამ აქაც სასტიკად დამარცხდნენ, კიდევ უკან დაიხიეს და ტობარში გამაგრდნენ. სორმელდაშიდან ტობარი მე-16 კილომეტრზე მდებარეობს. აქ კი დიდთოვლობის დროს ზვავი უზარმაზარი ძალით ეშვება ხეობაში, ასწლიან ხეებს ძირიანად იღებს, ანგრევს კლდეებს და ეშვება მდინარე ენგურში, კვირაობით კეტავს გზას, რამდენიმე საათით – მდინარესაც. სწორედ აქ, ორათეულამდე წითელარმიელი გამოესალმა სიცოცხლეს, მათ გვამებს, საბრძოლო შაშხანებთან ერთად, ზაფხულში სოფელ დიზის მცხოვრებნი პოულობდნენ.

უკან დახეულ წითელარმიელებს ფეხდაფეხ მოსდევდნენ აჯანყებული სვანები. საბოლოო ანგარისწორება სწორედ აქ, ტობარის მიწაზე მოხდა. ამის მომსწრე თავად ტობარელები არიან, მათ შორის 11 წლის მამაჩემიც, რომელსაც არაერთხელ დეტალურად მოუყოლია ჩემთვის ამ ბრძოლის შესახებ.

ტობარში გამაგრებულ წითელარმიელებს (მათი რიცხვი, დაახლოებით, 45-დან 55-მდე იქნებოდა) ჰქონდათ ორი ტყვიამფრქვევი, 15-20 მოზრდილი ყუთი ტყვია-წამლის მარაგი, ხმლები და შაშხანები (კარაბინები). ისინი დაყოფილი იყვნენ ათეულებად. ერთი ათეული, სოფლის დასავლეთ ნაწილში უზარმაზარ ლოდს იყო ამოფარებული, ზედ ფრიალო კლდის თავზე. როგორც კი სროლა ატყდა, უკლებლივ რვავე მებრძოლი კლდიდან გადახტა, რომლის სიმაღლე 75-85 მეტრია. მეორე ათეული ბრძოლის ველზე დაეცა, ისინი თითქმის არ ისროდნენ ან თუ ისროდნენ – უმიზნოდ. იცოდნენ რომ ყველაფერი დამთავრებული იყო. მესამე ათეულმაც პირველის ბედი გაიზიარა – სოფლის სამხრეთით მდებარე 130 მ. სიმაღლის კლდიდან, გადახტა. მეოთხე ათეული კანტი-კუნტი სროლებით უკან იხევდა ენგურზე გადებულ ხიდისკენ.

ამ ხიდამდე წითელარმიელთაგან მხოლოდ ორმა მიაღწია. ისინი აჯანყებულებმა არ მოკლეს, რათა, ხიდის უვნებლად გადალახვის შემთხვევაში ბარში მაინც ჩაეტანათ დამარცხების მწარე ამბავი.

სამწუხაროდ, წითელარმიელთა მხარეს ქართველებიც იბრძოდნენ, მათ შორის ერთი მეგრელიც ყოფილა. მისი გვამი იქვე მიუბარებიათ მიწისთვის ტობარელებს, იმ ადგილს დღესაც „მუზნიაშ ნაშდუღს“ ვეძახით, რაც მეგრელის ნამარხს ნიშნავს. ომის დამთავრების შემდეგ ჭირისუფალს მისი ნეშტი სამეგრელოში გადაუსვენებია, მაგრამ ადგილს სახელი მაინც შერჩა.

სხვათა შორის, ტყვიით მოკლული და კლდიდან გადამხტარი წითელარმიელების გვამები ფრინველს და ნადირს რომ არ შეეჭამა, ტობარელებს ქრისტიანული წესით მიწისთვის მიუბარებიათ.

ჩემი ღრმა რწმენით, 555 წელს სწორედ ტობარი გადაიქცეოდა იმ სტრატეგიულ პუნქტად, სადაც თავისუფლებისმოყვარე სვანებმა ბოლო მოუღეს ბიზანტიელებს. ამის დასტურია ისიც, რომ ტობარში, მიწის დამუშავებისას, დღემდე ამოდის ერთპირიანი და ორპირიანი საბრძოლო ისრები. დღემდეა შემორჩენილი მაშინ გათხრილი სანგრების ნაშთი. ჩალპა და ჩაინგრა მიწისქვეშ აშენებული მიწურები (ბლინდაჟები).

მახსოვს, ჩვენი სახლის გვერდზე, 1943 წლის ზამთარში, ერთმა ჯარისკაცმა თავი მოიკლა. თოფის გასროლისთანავე სამხედროების ერთი ათეული გაჩნდა იქ, მიცვალებულს ფარაჯა დაუფინეს, ზედ დაასვენეს, მერე კი მხედრული წესით, (ავტომატიდან ყველამ ხუთჯერ გაისროლა) დაკრძალეს.

გერმანელებს რომ არ ჩავარდნოდათ ხელში, ჩრდილოეთ კავკასიიდან, ათასობით ცხვარი და ძროხა გამორეკეს, მდინარეების – ენსკრის და ნაკრის სათავეებთან მდებარე უღელტეხილებით უკან დახეულმა საბჭოთა ჯარის ნაწილებმა. ტობარში ზღვასავით ლივლივებდა იქიდან გამორეკილი ცხვრის ფარები. ცხვარი მრავლად იკვლებოდა სამხედროებისა და ტობარლების მიერ. ტყეში უყურადღებოდ მიტოვებული ასეულობით ცხვარი და თხა, უკვე ნახევრად გაველურებული, არაერთხელ უპოვიათ ტობარელებს.

ეს მდგომარეობა 1943 წლამდე გაგრძელდა. როდესაც გერმანია სტალინგრადთან დამარცხდა და დასავლეთის მიმართულებით სწრაფად იხევდა უკან, ფრონტის ხაზი დაშორდა ტობარს და საქართველოს საზღვრებსაც, ტობარის ხიდზე გუშაგი აღარ იყო საჭირო.

სადაც ნენსკრა უერთდება ენგურს, ნენსკრის ხეობა ისეა დავიწროებული, რომ კარგი სპორტსმენი შეიძლება გადახტეს კიდეც მდინარის მეორე მხარეს. ამ ადგილას წითელარმიელებმა კლდეში ამოჭრეს საკმაოდ დიდი ტევადობის ქვაბული. თუ გერმანელები კავკასიონის ქედს გადმოლახავდნენ და ნენსკრის ხეობით დაეშვებოდნენ სოფელ ჭუბერში, ქვაბულში ჩადებული ტონანახევარი ასაფეთქებელი მასალა აფეთქდებოდა ხიდთან ერთად, რითაც შეიქმნებოდა ოთხკილომეტრიანი ჩიხი, რომელიც გერმანელებისათვის სასაფლაოდ გადაიქცეოდა, ზუსტად ისე, როგორც 555 წელს – ბიზანტიელებისათვის, 1921 წელს – საბჭოთა ჯარის ნაწილებისათვის. საბედნიეროდ, ბოლო შემთხვევა არ განხორციელდა, გერმანელთა სასაფლაო ტობარიდან შორს, კავკასიონის მთის ძირთან გაითხარა.

ისე, საოცარი კია, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზე, მერცხლის ბუდესავით მიკრული ერთი პატარა სოფელი, რომლის მოსახლეობა 7-9 ოჯახს ვერ ასცილებია, საუკუნეების მანძილზე ასრულებს ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვან მისიას.

შარშან, 2008 წლის აგვისტოში ტობარელებს შეგვატყობინეს, რომ კოდორში განლაგებულმა ქართულმა ჯარებმა პოზიციის დატოვების შესახებ ბრძანება მიიღეს. თუ მათი ევაკუაცია დროზე არ მოხდებოდა და ზუგდიდიდან უკვე გამოსული რუსი დამპყრობლები მოასწრებდნენ ტობარ-საგერგილის სტრატეგიული წერტილის დაკავებას, ტობარიც გადაიწვებოდა და მსხვერპლიც დიდი იქნებოდა. საბედნიეროდ, კოდორიდან ევაკუირებულებმა გაასწრეს. სანამ დამპყრობლები ტობარ-საგერგილამდე მოაღწევდნენ, კოდორელები სამშვიდობოს იყვნენ გასულნი. თვითონაც გადარჩნენ და სოფელი ტობარიც გადარჩა.

ამრიგად, ტობარი გეოგრაფიულად ისეთი სტრატეგიული პუნქტია, სადაც რეზერვებიდან დაშორებულ მტერს, უგზოობა ხელ-ფეხს უკრავს და მისი დამარცხება გარდაუვალია. ამის დასტურია ის მაგალითები, რომელთა შესახებაც ზემოთ ვისაუბრე.

აკაკი ზუმაძე
ხაიშის საჯარო სკოლის
ისტორიის მასწავლებელი

სპორტი

17-წლამდელები ელიტ-რაუნდში

საქართველოს 17-წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა წარმატებით დაძლია ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი და ელიტ-რაუნდში გავიდა. საკვალიფიკაციო რაუნდში ჩვენები X ჯგუფში გამოდიოდნენ პორტუგალიის, შოტლანდიისა და კვიპროსის გუნდებთან ერთად, ჯგუფის თამაშებს კი შოტლანდიამ უმასპინძლა. **გიორგი დევდარიანის** დამოძღვრილმა ნაკრებმა სასტარტო შეხვედრა პორტუგალიასთან 0:2 წააგო. ეროვნული ნაკრების გამუდმებული წარუმატებლობის ფონზე, გულშემატკივარს ამ მარცხმაც ლამის ხელი ჩააქნევინა, მაგრამ, საბედნიეროდ, თვითონ ბიჭები არ გატყდნენ. მეორე შეხვედრა უკვე ტურნირის მასპინძელ შოტლანდიელებთან ჩაატარეს და 2:1 მოიგეს. თან იმდენად ძლიერად ითამაშეს, შოტლანდიელთა თავკაცი ამათ საქებრად დაიღვარა. ბოლო შეხვედრაში კვიპროსელებთან ჩვენებს მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს და 4:2 მოიგეს. თამაში ძალზე დრამატული გამოდგა. ჯერ იყო და მეტოქემ პენალტი ვერ გაგვიტანა, მერე ჩვენები კი დაწინაურდნენ - 2:0, მაგრამ მეტოქემ ანგარიში გაგვითანაბრა და ელიტ-რაუნდიც თითქოს მირაჟი გაგვიხდა... ამ კრიტიკულ მომენტში გუნდის ლიდერმა, „ბარსელონას“ თავდამსხმელმა **გიორგი ჭანტურიამ** ჭეშმარიტი ლიდერის თვისებები გამოავლინა და თანაგუნდელებს მეტოქის კარისკენ თავდაჯერებით გაუძღვა – მომდევნო ორი გოლი სწორედ ჭანტურიამ გაიტანა. მან ამ ტურნირზე 3 გოლი მიითვალა და გუნდის ბომბარდირიც გახდა.

ელიტ-რაუნდში 28 გუნდი გადის, ოღონდ სხვა ჯგუფებში შესარჩევი ეტაპის თამაშები ისევ გრძელდება და ჯერ მხოლოდ 18 მონაწილეა ცნობილი. ამ გუნდების წილისყრა 9 დეკემბერს გაიმართება და გამოვლინდება 7 ოთხგუნდა ქვეჯგუფი, რომლებიც ევროპის 2010 წლის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად 1-13 მარტს ითამაშებენ.

უჩვეულო წარუმატებლობა

ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრები მისთვის უჩვეულოდ წარუმატებლად გამოვიდა პარიზში, მსოფლიოს პირველობაზე. ჩვენებმა ორი მედალი – თითო ვერცხლი და ბრინჯაო კი მოიპოვეს, მაგრამ ბოლო წლებში პირველად დარჩნენ უჩემპიონოდ. პლანეტის ვიცე-ჩემპიონი **არჩილ შინჯიკაშვილი** (90) გახდა, ბრინჯაო კი **ლაშა ზურაბიანმა** (73) მოიპოვა.

შინჯიკაშვილმა ფინალამდე იმდენად ძლიერად იჭიდავა, ვეჭვობთ, ამას არავინ ელოდა. ის წლეულს ნაკრებში სტაბილურად კი ხვდება და ევროპის ჩემპიონატზეც იჭიდავა, მაგრამ აქამდე რაიმე გამორჩეული არაფერი გაუკეთებია. თან არც წილისყრამ გაუმართლა – ევროპის წლევანდელი ოთხი მედალოსნიდან 3 მის მხარეს მოხვდა. მათ შორის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონიც, რასაც იაპონელი და კორეელი მეტოქეებიც დაემატნენ. საბედნიეროდ, შინჯიკაშვილი ტიტულებს არ შეუშინდა. მან პირველ წრეში ვენესუელელი ხოსე აგილარი დააიპონა, მეორეში კი ევროპის მესამე პრიზიორი, იტალიელი **პაბლო ლუჩანო ტომაზეტი** პატარა ბავშვივით გაიქნია ტატამიდან. ჩვენებურმა მესამე შეხვედრაც იპონით მოიგო, ოღონდ წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, ამჯერად მეტოქე ორჯერ დააგდო ვაზარზე. თანაც ვინ – კორეელი **კანგ დაე-ბონგი**, რომელმაც მანამდე შვედი ევროპის ჩემპიონი **მარკუს ნუმანი** გააბითურა. შინჯიკაშვილმა უკეთესი დღე არც ევროპის ესტონელ ვიცე-ჩემპიონ **გრიგორი მინასკინს** აყარა – ვაზარი, იუკო და ისევ დიდი უპირატესობით გამარჯვება. აღსანიშნავია, რომ მინასკინმა იაპონელი მეტოქე დააიპონა.

ვერ გეტყვით, ასეთმა უძნელესმა ბრძოლებმა გადაღალა თუ რა მოხდა, მაგრამ შინჯიკაშვილმა ფინალი იოლად დათმო უკრაინელ ფერადკანიან **ქუდუაუ ნაბალისთან**. არადა, თავიდან თითქოს კარგადაც დაიწყო, მაგრამ მეტოქემ მალევე გამოუსვა სარმა და სუფთად მოუგო.

ზურაბიანი ძირითად ბადეში ორი წმინდად გამარჯვების შემდეგ მომავალ ვიცე-ჩემპიონთან, უკრაინელ **ვიტალი პოპოვიჩთან** დამარცხდა და სანუგეშოში გადაერთო. აქაც ორი მოგება დასჭირდა მედლის მოსაპოვებლად, ბოლო შეხვედრაში კი მოლდოველი **ვადიმ ბოცანი** დასცა ბეჭებზე.

შეგახსენებთ, რომ წლეულს, ევროპის ჩემპიონატზე, ჩვენმა ნაკრებმა 1 ოქრო და 2 ბრინჯაო მოიპოვა. ევროპის ჩემპიონი **პაატა მერებაშვილი** (60) გახდა, ბრინჯაოები კი **ნუგზარ ტატალაშვილმა** (73) და **ავთანდილ ჭრიკიშვილმა** (81) დაისაკუთრეს.

ირაკლი თავაძე

აქ გავიზარდეთ

28 ოქტომბერს, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის 40 წლის იუბილე საზეიმოდ აღინიშნა. ამ დღეს, გალერეამ მისი აღზრდილების ბავშვობისდროინდელი ნამუშევრების გამოფენას – **„აქ გავიზარდეთ“** – უმასპინძლა. წარმოდგენილი იყო: **აკა მორჩილაძის, ლაშა ბუღაძის, რუსუდან ფეტვიაშვილის, დავით მიქაბერიძის, სოსო წერეთლის, ეკა ჯაფარიძის, გია მირზაშვილის** და სხვათა ნამუშევრები, რომლებსაც გალერეა სათუთად ინახავს. ყველაფერი კი ასე დაიწყო:

1968 წელს, თბილისში, **ელენე ახვლედიანის, ლადო გუდიაშვილის, უჩა ჯაფარიძის, ჯიმშერ მუჯირის, ელენე გიორგაძის, გუგა მიქაძისა** და სხვათა თაოსნობით, ბავშვთა სურათების გალერეა დაარსდა, მისი პირველი დირექტორი **ავთანდილ კუხიანიძე** იყო. 1973 წელს გალერეამ ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის ბოლო სართულზე დაიდო ბინა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო მსოფლიოში პირველი ბავშვთა ხელოვნების მუზეუმის ახალსახლობა. დღიდან დაარსებისა, სიცოცხლის ბოლომდე, გალერეის მთავარი მხატვარი **თენგიზ მირზაშვილი** იყო. 1981 წლიდან ბავშვთა სურათების გალერეა ძველ თბილისში, შავთელის ქუჩა №17ა (კონკასთან) გადავიდა. სამსართულიანი შენობა სპეციალურად ბავშვთა სურათების გალერეისთვის დაპროექტდა. სამივე სართულზე საგამოფენო დარბაზები, სამხატვრო სტუდიები, ფონდი, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზები, კინოდარბაზი, სამუშაო ოთახები განლაგდა. შესაბამისად, გაიზარდა გამოფენების რაოდენობა, მრავალფეროვანი გახდა თემატიკა, ჩამოყალიბდა ტრადიციული გამოფენები: „ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ“, „სააღდგომო გამოფენა“, „ბუნება და ძეგლი“, „მე მიყვარს თეატრი“, „ჩემი საყვარელი დედიკო“, „ახალი სახეები“, „მრავალეროვანი საქართველო“, „საქართველო ნატოში“ და მრავალი სხვ. ბავშვთა სურათების გალერეას ელენე ახვლედიანის სახელი 1983 წელს მიენიჭა.

დაარსებიდან დღემდე, გალერეას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან სტუმრობენ. გალერეა მრავალი საერთაშორისო კონფერენციის, გამოფენა-კონკურსის მასპინძელია. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ეს ერთადერთი დაწესებულებაა, რომელმაც თავი მოუყარა მთელი საქართველოს ბავშვთა ნამუშევრებს და გახდა მათი შემოქმედების პოპულარიზაციის ცენტრი. გალერეა მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც ზრუნავს ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდაზე სახვითი ხელოვნებით. მრავალი წლის მანძილზე გალერეამ, თავისი საქმიანობით, მსოფლიოს ხელოვნებათმცოდნეების, ფსიქოლოგების, მხატვრების, პედაგოგების ყურადღება მიიპყრო. ამის დასტურია მის ფონდში დაცული, საზღვარგარეთის 50-ზე მეტი ქვეყნიდან და ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკებიდან გამოგზავნილი, ბავშვთა ნახატების უკვე დაკომპლექტებული გამოფენები.

ლია გორგაძე, გალერეის დირექტორი: *დღევანდელი გამოფენა „თბილისობის“ დღესასწაულს და ბავშვთა სურათების გალერეის 40 წლის იუბილეს მივუძღვენით. გალერეაში იმ ადამიანების ნახატები გამოვფინეთ, რომლებიც ამ კედლებში აღიზარდნენ. ჩვენი ყოფილი მოსწავლეების ნახატებს წლების მანძილზე სათუთად ვინახავთ. გვინდოდა, დამთვალიერებლისთვის გვეჩვენებინა იმ ადამიანების ნახატები, რომლებიც პირველად ჩვენს გალერიაში ეზიარნენ ხელოვნებას. ესენი არიან:* ***რუსუდან ფეტვიაშვილი, აკა მორჩილაძე, ლაშა ანდღულაძე, ლაშა ბუღაძე, გუგა კოტეტიშვილი, სიმონიკო მაჩაბელი, გია მირზაშვილი, თამრიკო კვესიტაძე;*** საბედისწერო „თვითმფრინავის ბიჭები“: **სოსო წერეთელი, დათო მიქაბერიძე, გეგა კობახიძე.**

გალერიაში გაიზარდნენ და უცხოეთში წარმატებით მოღვაწეობენ: **ნინო კოვზირიძე** (იგივე ნინი კეი), **ნიკო ჩოჩელი, ნაკა და თათა სურგულაძეები** და მრავალი სხვ. ჩვენ ვამაყობთ, რომ გალერეამ ასეთი საინტერესო და წარმატებული ადამიანები აღზარდა.

მარინა თაბურიძე, საგანმანათლებლო-შემეცნებითი განყოფილების ხელმძღვანელი: *დღევანდელ გამოფენაზე წარმოვადგინეთ იმ ბავშვების ნამუშევრები, რომლებიც ჩვენს გალერეაში აღიზარდნენ. ბავშვთა სურათების გალერეა მარტო საგამოფენო დარბაზი არ არის. აქ ბავშვების სულიერ აღზრდასა და განვითარებაზე ვზრუნავთ. ჩვენი მიზანი და ამოცანაა: ბავშვთა ჰარმონიული აღზრდა, მხატვრული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, ფანტაზიის, გარემოს დამოუკიდებელი, თავისებური აღქმის და ხედვის განვითარება, გემოვნების დახვეწა, ნამუშევართა სწორი შეფასება, კულტურულ სივრცეში ქცევის ნორმების ჩამოყალიბება, თავისუფალი დროის პრობლემის მოგვარებაში დახმარება, საქართველოს მასშტაბით ნიჭიერი, ხელოვანი ბავშვების გამოვლენა, უნარშეზღუდული ბავშვების საზოგადოებასთან ინტეგრირებაზე ზრუნვა, ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებთან მუშაობა და სხვ.*

დღევანდელი გამოფენა – „აქ გავიზარდე“ – საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ გვინდა დამთვალიერებელს დავანახოთ გალერეის როლი, მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი გალერეა მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ცენტრია (პოლონეთის შემდეგ, პირველი ასეთი დაწესებულება გაიხსნა 1965 წელს ქალაქ ტორუნში), რომელიც საქართველოში გაიხსნა და ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდას ემსახურება. გალერეას მსოფლიოს არაერთი ცნობილი ადამიანი სტუმრობს. დღევანდელ გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების ავტორები, მართალია, ყველანი მხატვრები არ არიან, მაგრამ ისინი თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან. ჩვენ ვამაყობთ ამ ადამიანებით.

უშანგ ლონდარიძე, მხატვარი: *ვინც ამ ხელოვნების ტაძარში დადიოდა, საოცრად განათლებული და დახვეწილი ადამიანები იყვნენ. მათგან დღეს ბევრი ცნობილი მხატვარია, ბევრმა სხვა პროფესია აირჩია და ამ არჩევანით გვასახელა. ვამაყობ ჩემი ყოფილი მოსწავლეების წარმატებით. თითოეული მათგანის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში დიდი როლი ამ არაჩვეულებრივ ხელოვნების ტაძარს მიუძღვის. ვულოცავ გალერეას ორმოცი წლის იუბილეს და ვისურვებ, მომავალში კიდევ ბევრი სასახელო ადამიანი აღეზარდოს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.*

ლეილა გუგუშვილი, აკა მორჩილაძის დედა: *გიორგიმ ხატვა ხუთი წლის ასაკიდან დაიწყო. რვა წლის იყო, ხელოვნების სკოლაში მივიყვანე, მისაღები გამოცდები წარმატებით ჩააბარა. ბატონმა უშანგი ლონდარიძემ გამოიტანა გიორგის ნახატი და თქვა – ამ ნახატის ავტორს სკოლაში აუცილებლად ჩავრიცხავო. შემდეგ გადავედით ბავშვთა ხელოვნების მუზეუმში, სადაც ბატონი უშანგი ასწავლიდა. მეცადინეობდნენ თავისუფალ თემებზე, შემდეგ თითოეულ ნახატს განიხილავდნენ. გიორგის პირველი გამოფენა ხელოვნების მუშაკთა სახლში ბავშვთა დაცვის დღეს მოეწყო, მაშინ ექვსი წლის იყო. ხატვა გიორგის დღესაც ძალიან უყვარს, „სანტა ესპერანსა“ თავად დაასურათა.*

ბავშვთა სურათების გალერეა მომავალშიც არაერთ საინტერესო ღონისძიებას გეგმავს. ორმოცწლიანი ნაყოფიერი მუშაობა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა წარმოადგენს საქართველოს ბავშვთა სკოლისგარეშე მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდისა და განათლების ძლიერ კერას, რომლის საქმიანობასაც მხარდაჭერა, თანადგომა და დახმარება ესაჭიროება.

მაკა ყიფიანი

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტებია: საქართველოს ბანკი ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

C M Y K